ქართველობის გადასარჩენად

გაზეთი გამოდის 1999 წლიდან

# ილორი

www ilori.ge

№ 59 (120) 23 მარტი 2010 სახალხო მოძრაობა "საქართველოს" ორგანო 50 თეთრი

## როდის დადგება ის დრო, ახალი ძველს რომ აღარ დაიჭერს?

2

როლანდ ჯალალანია

## სამართალი და სამართლიანობა მარტივილურად

6

ოთარ ჯიქია,

## საით მიისწრაფოდნენ პროტოქართველები?

11

კუკური ფიფია,

## აქვრაცუარა — ჩვენს სისხლისმიერ ძმობას გაუმარჯოს!

8

## სერგეი კრემლიოვი ლავრენტი-ბერია — მეოცე საუკუნის საუკეთესო მენეჯერი

4

გაზეთი "ილორი" უძღვება რუბრიკას "საუკეთესო საფეხბურთო კლუბები"

## "რივერ პლეიტი", ბიენოს-აირესი, არგენტინა

12

## მეგრული პოეტიის რაფსოდია

## პოეტი ლაშა გახარია



5

ზურაბ კვარაცხელია: ეროვნული მოძრაობა ნამდვილად იყო ანტიიმპერიული, მაგრამ არავითარ შემთხვევაში — ანტირუსული"

7




9

ამ წიგნის ავტორის, კორნელი ბოროზდინის სამსახურეობრივი კარიერა კავკასიაში დაიწყო. იგი ჯერ მთავარმართებლის კანცელარიაში მუშაობდა, შემდეგ კი (1854 წელს) სამეგრელოს დედოფალთან მიავლინეს მიწერ-მოწერის საწარმოებლად და მისი შვილების აღმზრდელად. 1858 წელს დაინიშნა სენაკის ოლქის უფროსად, სადაც 1867 წლამდე იმსახურა. სწორედ აქ გაეცნო იგი სამეგრელოს მოსახლეობის ყოფას, რომელიც საინტერესოდ აღწერა თავის წიგნში.
ბოროზდინის მოგონებებში საკმაოდ ვრცლად არის გადმოცემული ოსმალეთის ჯარების მიერ სამეგრელოს აწიოკება, რომელიც შემდეგ რუსმა ჯარისკაცებმა ალაგმეს.

საქართველოში აკრედიტებული დიდი ბრიტანეთის სამეფოს სრულუფლებიან დესპანს ბ-ნ დენის კიფს

თ ხ ო ვ ნ ა

ილია ხუნწარია,

12

თბილისი, 2010 წლის მარტი

# როდის დადგება ის დრო, ახალი ძველს რომ აღარ დაიჭერს?

მთელ შეგნებულ ცხოვრებას ადამიანი, უნდა თუ არ უნდა, ხელისუფლებაზე დაკვირვებას უძღვნის, რადგან თითქმის ყველგან (განსაკუთრებით კი ჩვენს ბედკრულ საქართველოში) სწორედ ხელისუფალთა ნებისმიერ გაფაჩუნებაზეა დამოკიდებული უბრალო ხალხის ცხოვრების ავი თუ კარგი. სახელისუფლები წიაღსვლებიდან კი ხალხს ყველაზე მეტად ის აინტერესებდა, თუ როდის, როგორ და რა ბრალდების საფუძველზე დააკავებდნენ და გაასამართლებდნენ ხალხის მიერ მოძულებულ რომელიმე მაღალი თანამდებობის პირს. ამგვარი **"სპექტაკლები"** კი განსაკუთრებით მაშინ ეწყობოდა, როცა ქვეყანას სათავეში ახალი ხელისუფალი მოაჯდებოდა ხოლმე.

ჯერ იყო და, 1972 წელს, როცა მჟავანაზე შევარდნაძემ შეცვალა, რამდენიმე დღეში გაავსო ციხეები ყოფილი მაღალჩინოსნებით. პირველად ეს **"პატივი"** ერგო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის რექტორს, შესანიშნავ მეცნიერსა და მამულიშვილს, პროფესორ პეტრე გელბახიანს. შევარდნაძის მიერ მოწყობილი ეს **"ეკზეკუცია"** ხალხმა მაშინვე გაშიფრა – შევარდნაძის ქალიშვილი ამ ინსტიტუტში მისაღებ გამოცდაზე ჩაიჭრა, რაც თავისუფლების ფასად დაუჯდა უაღრესად წესიერ ადამიანს – პეტრე გელბახიანს. შემდეგ დაიჭირეს ე.წ. **"ლეჩკომბინატის"** მთავარი ექიმი ნემსაძე და ბევრი სხვა მაღალჩინოსანი. მათ მიმართ წაყენებული ბრალდება ერთი სიტყვით გამოიხატებოდა – მექრთამეობა, რეალობა კი შევარდნაძის პირადი მტრობა გახლდათ!

შევარდნაძემ ყველა პოსტზე თავისი ერთგული ხალხი დანიშნა და სწორედ მისი მოსვლის დრიდან არნახულად აყვავდა საქართველოში უკანონო აღებ-მიცემობა, მექრთამეობა და კორუფცია, ქვეყანა მიწერების უმძლავრეს ფორპოსტად იქცა. მილიონობით თანხა მიდიოდა შევარდნაძის ჯიბეში ხელოვნურად გაბერილი მევენახეობის, საკონსერვო წარმოების, მეჩაიეობის, მეციტრუსეობის, მეხილეობის სფეროდან... ზედაპირული გათვლითაც კი დგინდება, რომ შევარდნაძის **"კორუფციული არნებიდან"** მომდინარე ყოველწლიური შავი ფული ორ-სამ მილიარდ მანეთს შეადგენდა, რაც თითქმის იმდროინდელი საქართველოს წლიურ ბიუჯეტის ტოლი იყო. და ასეთი არამზადა, სხვებს იჭერდა კორუფციისა და კომბინატორობის ბრალდებით... ძვირად დაუჯდა ყველას, ვინც კი შევარდნაძეს ოდნავ მაინც მიანიშნა, რომ ასე ცხოვრება არ შეიძლებოდა და ქვეყანა გმინავდა კორუფციის წნეხის ქვეშ. ამგვარი **"სიმამაცისათვის"**, შევარდნაძის მიერ თითიდან გამოწოვილი ბრალდებით დაიხვრიტა თბილისის 26-კომისრის რაიონის აღმასკომის თავმჯდომარე იუზა კობახიძე, ხოლო ყალბი ბრალდებით დაპატიმრებული ფინანსთა მინისტრი ანანიაშვილი და ამ სამინისტროს სარევიზიო სამმართველოს უფროსი ჭანუყვაძე დახვრეტას მხოლოდ იმიტომ გადაურჩნენ, რომ მეორე მსოფლიო ომის მონაწილეები იყვნენ...

შემდეგ, როცა 1992 წელს შევარდნაძის მიერ დაფინანსებულმა კრიმინალებმა იარაღის ძალით დაამხეს კანონიერად არჩეული პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია და საქართველოს **"მეორედმოსვლასავით"** დაუბრუნდა ედუარდ **"უხსენებელი"**, მასონებმა ქვეყანას პირველ რიგში ფსევდოდემოკრატია შეაჩეჩეს ხელში, დემოკრატიის ცენზორად კი დიქტატორი შევარდნაძე დაგვინიშნეს, რამაც მაშინვე მოიტანა რეალური შედეგები. თუ აქამდე შევარდნაძე პირადი ბრძანებებით აპატიმრებდა მისთვის არასასურველ პიროვნებებს, ახლა ტაქტიკა შეცვალა, დემოკრატის ნიღაბი მოირგო და არასასურველებზე ნადირობა დაქირავებული მკვლელების მეშვეობით გააჩაღა. ასე დაიღუპნენ სოლიკო ხაბეიშვილი, ნუგზარ საჯაია, გიორგი სანაია... აქაც საკმაოდ ვრცელი სია გვაქვს!

მგელმა მგლობა მაინც ვერ მოიშალა!

მეორედ მოსვლის შემდეგ კიდევ თერთმეტი წელიწადი იბოგინა შევარდნაძემ საქართველოში და პირადი ქონება კიდევ რამდენიმე მილიარდი ნაქურდალ-ნაოხრალი დოლარით შეავსო. შევარდნაძემ კარგად იცოდა, რომ მარტოსულად ამდენს ვერ მოიპარავდა, ამიტომ შექმნა **"მოქალაქეთა კავშირი"** და საქართველო კვლავ ერთპარტიული მმართველობის საძრახის ერაში დააბრუნა.

მერე იყო დღეს უკვე ავადსახსენებელი **"ვარდების რევოლუცია"**, რომელიც ჩვენნაირ გულუბრყვილოებს მართლა რევოლუცია გვეგონა, სინამდვილეში კი ეს აღმოჩნდა ბინძური გარიგება ძველ და ახალ ხელისუფლებას შორის ხელისუფლების ნებაყოფლობით გადაცემასა და ძველის მიერ ნაქურდალ-ნაოხარის შერჩენისათვის მყარი გარანტიების გაცემაზე. ასე შეინარჩუნა შევარდნაძემ ნაძირალობით მოვერაგებული ფინანსები, 11 მილიონ ევროდ ნაყიდი გრუნდიკების ყოფილი ვილა ბადენ-ბადენში და ყოფილი საპრეზიდენტო რეზიდენცია კრწანისში.

**"გაუმაძღარ ადამიანს მიწაც ვერ გააძღებსო"** – ამბობდნენ ჩვენი წინაპრები, მაგრამ, ამ ადამიანის სახედაკარგული არაკაცის გაძღომას საშველი მაინც არ დაადგა.

ეს მისი პოლიტიკურ მძორად ქცევის შემდგომმა პერიოდმაც დაადასტურა, რადგან მანამდე მანქურთებად გამოზრდილ გრანტიჭამია ახალდგამოჩეკილ პოლიტიკოსებს მან ხელისუფლების მართვის სდაევებთან ერთად ქვეყნისა და ხალხის ძარცვა-ყლეფის დიდი გამოცდილებაც გადასცა. იცოდნენ, რა, რომ ვერც ისინი მოახერხებდნენ, განცალკევებით, პირადი გამდიდრების ვერაგული პროგრამის წარმატებით განხორციელებას, ხელდახელ შეაკოწიწეს **"ნაციონალური"** ორგანიზაცია და ედუარდ შევარდნაძეზე ბევრად ეფექტურად შეუდგნენ ქვეყნის ყვლეფა-დაშლა-განადგურებას.

ქვეყანა კვლავ ერთი პოლიტიკური პარტიის კლანჭებში აღმოჩნდა...

შევეცდებით, დავაკონკრეტოთ, თუ რა უბედურებაა ეს!

### *საქართველოს პარტიები – კორუფციის ძირითადი იარაღი*

მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში ცხოვრებამ არაერთგზის დაამტკიცა, რომ პარტია, როგორც ქვეყნის მმართველი ძალა, როგორი კეთილშობილური და პროგრესული იდეებით არ უნდა იყოს იგი გამსჭვალული, პოლიტიკური კონკურენციის გარეშე წამსვე იქცევა ხოლმე უბინძურეს ადამიანთა თავყრილობად, რასაც დღეს მაფია ეწოდება. ედუარდ შევარდნაძის (შემდეგ კი მისი **"შვილობილისა"** და **"პოლიტიკური შლეიფის"** მიხეილ სააკაშვილის) ფენომენმა, როგორც მოუშორებელმა სახელისუფლებო ჭირმა, მყარად დაამკვიდრა აზრი იმის თაობაზე, რომ ერთპარტიული მმართველობა თანამედროვე დიქტატურაა, ვინაიდან ის მთელის ნაწილისათვის დამორჩილებაა, ნაწილის შეუზღუდავი ხელისუფლებაა. ნებისმიერ პარტია (მით უმეტეს, **"მოქალაქეთა კავშირი"**, თუ **"ნაციონალური მოძრაობა"**) არავითარ შემთხვევაში არ არის დემოკრატიული იარაღი, იმდენად, რამდენადაც იგი იქმნებოდა ადამიანთა იმ ჯგუფის მიერ, რომლებსაც აკავშირებდათ საერთო ინტერესები, საერთო მსოფლმხედველობა, საერთო კულტურა, საერთო საბოგინო ტერიტორია ან საერთო იდეოლოგია. ეს ადამიანები ქმნიდნენ პარტიას საკუთარი ინტერესების განსახორციელებლად ან საზოგადოებისათვის საკუთარი იდეების თავზე მოსახვევად და საკუთარი იდეოლოგიის გასაბატონებლად. მათი მიზანი იყო და არის ის, რომ მოიპოვონ ძალაუფლება საკუთარი პროგრამის განხორციელების გზით, და რაც მთავარია, ყოველგვარი ბინძური მეთოდების გამოყენებით აკეთონ დიდძალი ფული...

მსოფლიოს ხალხთა და სახელმწიფოთა ისტორიამ არაერთგზის დაგვარწმუნა, რომ ჭეშმარიტი დემოკრატიის თვალსაზრისით დაუშვებელია ერთი პარტია მართავდეს მთელ ხალხს, იმდენად, რამდენადაც ხალხი ინტერესთა, თვალსაზრისთა, ხასიათთა, ტერიტორიათა და მრწამსთა სიმრავლეა.

ჯერ შევარდნაძემ, შემდეგ კი სააკაშვილმა პარტია მართვის დიქტატორული იარაღად აქციეს. თავადაც არ მალავდნენ, რომ პარტიაზე დაყრდნობით მათ შეუძლიათ ერთი თვალსაზრისის მომხრე ან რომელიღაც ინტერესით გაერთიანებულ პირების მეშვეობით მართონ მთელი ხალხი (როგორ გგონიათ, ეს თუ ჩვენ ვიცით, შევარდნაძესა და სააკაშვილს არ ეცოდინებათ? – **"ილორი"**). მათ ისიც იციან, რომ ხალხთან შედარებით პარტია მხოლოდ უმცირესობაა. ამიტომ, მათ პარტიის შექმნით მიზნად დაისახეს შეექმნათ ხალხის მართვის იარაღი, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ – იმათი მართვის იარაღი, ვინც პარტიის გარეთ დგას და ეს მართვა მათ უნდა მოეხდინათ პარტიის დახმარებით, რადგან პარტია მთლიანად ეფუძვნება ხალხის პარტიისადმი დამორჩილების დესპოტურ ავტორიტარულ რეჟიმს.

ამავე დროს, რაც უფრო ბევრია საქართველოში პარტია, მით უფრო მძაფრდება მათ შორის ბრძოლა ხელისუფლებისათვის, რასაც პრაქტიკულად ნულამდე დაჰყავს ხალხის ყველა მონაპოვარი და ძირს უთხრის ნებისმიერ პროგრამას, რომელიც მიმართულია მთელი საზოგადოების საკეთილდღეოდ. მთელი ეს ბრძოლა, რომელიც აქარწყლებს ხალხის მონაპოვარს და ძირს უთხრის პროგრამებს, მოქიშპე პარტიის (ოპოზიციის) მიერ გამოიყენება საკუთარ მცდელობათა გასამართლებლად, რათა ფეხქვეშ ნიადაგი გამოაცალოს მმართველ პარტიას და დაიკავოს მისი ადგილი. საქართველოში ამ შიდაუთანხმოებრივ ბრძოლაში პარტიები იშვიათად მიმართავენ იარაღს (რასაც ვერ ვიტყვით მმართველ **"ნაციონალთა"** პარტიაზე). ისინი ჩვეულებრივ ასამართლებენ და ლაფს ასხამენ ერთმანეთის მოღვაწეობას. ამგვარი არაკეთილსინდისიერი ბრძოლა აუცილებლად შეეხება ხოლმე საზოგადოების უმაღლეს და ცხოვრებისეულ ინტერესებს. ამასთან, თუ მთლიანად არა, ამ ინტერესების დიდი ნაწილი ეწირება მართვის იარაღებს შორის ძალაუფლებისათვის გამართულ ბრძოლას, და ამ ინტერესების ხელყოფა ოპოზიციურ პარტიას ან პარტიებს აძლევს ხელშესახებ არგუმენტებს მმართველი პარტიის ან პარტიათა კოალიციის წინააღმდეგ. არის რა თავისი ბუნებით ასევე მართვის იარაღი, ხელისუფლებაში მოსვლისათვის ნებისმიერმა ქართულმა ოპოზიციურმა პარტიამ უნდა დაამხოს ხელისუფლების სათავეში მდგომი მართვის იარაღი. ამ უკანასკნელის არაკომპეტენტურობა რომ დაამტკიცოს, ოპოზიციური პარტიები აქარწყლებენ **"ნაციონალთა"** მიღწევებს, ახდენენ მისი სამოღვაწეო პროგრამის დეზავუირებას, თუნდაც ეს პროგრამა მართლაც ემსახურებოდეს საზოგადოების ინტერესებს.

აქედან გამომდინარე, ქართული საზოგადოების ინტერესები და მისი განვითარების პროგრამა ეწირება ხელისუფლებისათვის გამართულ პარტიათა შორის ბრძოლას. ამდენად, მიუხედავად მრავალპარტიული სისტემის პირობებში გამართული ბრძოლის (ვითომ) პარტიული აქტივობისა, ეს ბრძოლა, ერთის მხრივ, დამანგრეველ გავლენას ახდენს საზოგადოებრივი ცხოვრების პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიკურ მხარეებზე, მეორე მხრივ, ხელისუფლების სათავეში მოჰყავს მართვის ახალი იარაღი, რომელიც ძველის ალი-კვალია. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ერთი პარტიის დაცემას მოჰყვება მეორე პარტიის აღზევება, მაგრამ ესაა ქართველი ხალხის დამარცხება, ე.ი. დემოკრატიის დამარცხება. თანაც, უკვე აშკარაა, რომ საქართველოში სოკოებივით მომრავლებულ პარტიებს გამყიდველური ბუნება აქვთ და მათი მოსყიდვა შეიძლება როგორც შიგნიდან, ასევე გარედან.

ბატონმა დავით ქობალიამ უკვე დააფიქსირა თავისი თვალსაზრისი იმის თაობაზე, რომ ოპოზიციური პარტიები ყველა სიგლახეში **"ამხელენ"** ნაციონალურ მოძრაობას და მათ ლიდერს სააკაშვილს, გარდა ერთისა – არაფერს ამბობენ იმაზე, რომ სააკაშვილმა და მისმა გარემოცვამ საქართველო ერთ დიდ ფულის საჭრელ მანქანად აქციეს. და იცით რატომ? როცა ხელისუფლებაში მოვლენ, თავადაც დიდი მონდომებით გააგრძელებენ შავი ფულის დაგროვებას.

დააკვირდით დინამიკაში სააკაშვილის პოლიტიკურ მოღვაწეობას: მისი **"ნაციონალური მოძრაობა"** აღმოცენდა როგორც ხალხის ინტერესების წარმომადგენელი, შემდგომში სააკაშვილი გახდა პარტიის თავისი წევრთა ინტერესების წარმომადგენელი, მერე კი, როგორც პარტიული ლიდერი, გახდა პარტიული (უფრო მართებული იქნებოდა გვეთქვა **"მაფიოზური"**) ხელმძღვანელობის ინტერესთა წარმომადგენელი. ყველამ იცის, რომ ეს **"ხელმძღვანელობა"** მხოლოდ შავი ფულის კეთებითაა დაკავებული. მაგრამ მათთვის ფულს არც ფერი აქვს და არც **"სუნი ასდის"**. სააკაშვილმა წამით რომ გადაუხვიოს უკვე არჩეულ კურსს და საკუთარ **"ავატარებს"** შავი ფულის კეთება რომ აუკრძალოს, მასაც ისევე **"უმტკივნეულოდ"** გააქრობენ, როგორც შედარებით ზომიერი **"მადის"** მქონე ზურაბ ჟვანია და სხვა **"თანამებრძოლი"** გააქრეს...

დღესავით ნათელია, რომ დღევანდელი საქართველოს პოზიცია-ოპოზიციის მიერ გაჩაღებული პარტიობანას თამაში – ესაა ფარსი, რომელიც დემოკრატიის ტოგითაა შემოსილი, მაგრამ თავისი არსით აგებულია ეგოიზმსა და დესპოტიზმზე, რასაც საფუძვლად უდევს მანევრირება, ჟონგლირება და პოლიტიკანურობა. ამიტომ, ვიდრე საქართველოში ყალბი პოლიტიკური ატმოსფერო დომინირებს, ვიდრე ხელისუფლება მხოლოდ პირად გამდიდრებაზეა ორიენტირებული, კვლავაც გაგრძელდება ახალი ხელისუფლების მიერ ძველი ხელისუფლების წევრთა დაპატიმრებები, რაც თავისთავად აიძულებს ძველ ხელისუფლებას, რომ ყოველი მეთოდის გამოყენებით გაიხანგრძლივოს თავისი უბადრუკი ყოფა და ქვეყნის პოლიტიკური მართვის სადავეები მხოლოდ მათ ერთგულ **"ოპოზიციურ"** ძალებს გადააბაროს, რაც იმას ნიშნავს, რომ ქვეყანაში კვლავაც გაგრძელდება ხალხის ყვლეფისა და სახელმწიფოს გაჩანაგების მავნე პრაქტიკა.

ამიტომ არის აუცილებელი, რომ ხალხმა დაიცვას თავისი პოლიტიკური მრწამსი და წინ აღუდგეს ხელისუფლებათა ცვლის ვერაგულ პროცესებს, რომელიც ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში იგეგმება. სხვაგვარად, ჩვენ ვერასოდეს ვიხილავთ ქვეყნის სათავეში იმ პოლიტიკოსთა ჯგუფს, რომლებიც ძირითად მიზნად ქვეყნის გაძლიერებას ისახავენ და არა პირად ინტერესებს. ხელისუფლების ცვლა უნდა მოხდეს მშვიდობიანი არჩევნების გზით და არა რევოლუციური ფარსებით, რაც მხოლოდ ხალხის მოტყუებას ისახავს მიზნად ერთი მუჭა პოლიტიკანებისა და სიხარბემოძალეული ადამიანების მიერ. ქართველი ხალხი უკვე დარწმუნდა, რომ 2003 წლის სახელისუფლებო ცვლა ამერიკაში დაგეგმილი პროვოკაცია იყო, რისი მეშვეობითაც ქვეყნის სათავეში შევარდნაძემ მოიყვანა მისთვის სასურველი ის პოლიტიკური ანტიქართული ძალა, რომელსაც ობიექტური არჩევნების ჩატარების პირობებში გამარჯვების არავითარი შანსი არ გააჩნდა.

თუნდაც იმიტომ, რომ 13 მარტს **"იმედის"** ტელეეთერში გათამაშდა ფარსი, რომ თითქოს რუსეთი თავს დაესხა საქართველოს და სააკაშვილი მოკლეს. მეორე დღესვე გაირკვა, რომ ეს ტრაგიფარსი არ შეიძლებოდა სააკაშვილის თანხმობით არ ყოფილიყო დადგმული. სხვა შემთხვევაში მკაცრად უნდა დაესაჯათ არხის გენერალური დირექტორი გიორგი არველაძე, რომელსაც იმის განსაზღვრის უნარი არ აღმოაჩნდა, რომ ამ ტელეგადაცემით დიდი შეურაცხყოფა მიაყენა როგორც ამერიკის შეერთებულ შტატებსა და რუსეთს, ასევე სრულიად საქართველოსაც. ეს უკვე ზნეობის სფერო გახლავთ, რომელზეც არველაძეებსა და მათნაირებს მეტად ბუნდოვანი წარმოდგენა გააჩნიათ.

ტელეგადაცემაში განსაკუთრებით ხაზი იმაზე იყო გასმული, რომ **"სააკაშვილი მოკლულია"**. რუსებს აქვთ ერთი მოხდენილი ფრაზა: **"Наговорить на себя"**, რაც იმას ნიშნავს, რომ ადამიანს საკუთარი თავისათვის უბედურების სურვილი ცხადად აუხდეს. ჰო და, **"Как бы Саакашвили не Наговорил на себя"**. ვერ ვიტყვი, რომ ამით დედა ენა დაგვეკარგება, მაგრამ, ჩვენს სახელმწიფოს რომ ავტორიტეტი დაეკარგება, ეს ფაქტია! რაც შეეხება სიკვდილს, ამ სახელისუფლებო **"საპირველაპრილო"** ხუმრობას მართლაც შეეწირა ორმოცდაათი წლის დუშელი მშრომელი ადამიანი გაიოზ ოდიშელიძე, რომელიც სიუჟეტის მსვლელობისას გულის შეტევით გარდაიცვალა.

ამრიგად, ყველას კარგად უნდა გვახსოვდეს – კიდევ ერთი ასეთი **"ვარდების რევოლუცია"**, ან **"რევოლუციით მოყვანილი"** ხელისუფლების მორიგი პროვოკაცია და საქართველოსაგან არაფერი დაგვრჩება!

**როლანდ ჯალაღანია,**
**ზუგდიდის დამოუკიდებელი**
**უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლაზიკა, ლაზეთი — უდიდესი ქართული ტკივილი

*ვაგრძელებთ წერილების ციკლის ბეჭდვას*

სწორედ წათე პირველის შემდეგ გახდა ეგრის-ლაზეთის მეფე გუბაზ II (530-524 წლები), რომელიც ლაზიკის მეფეებს შორის ყველაზე გამორჩეულად ითვლება.

გუბაზ II-ის ეპოქაში განსაკუთრებით გაძლიერდა ბრძოლა სპარსეთსა და ბიზანტიას შორის, რათა ეგრის-ლაზიკის სამეფო თავიანთი გავლენის ქვეშ მოექციათ, მაგრამ გუბაზ II, ერთმნიშვნელოვნად, ერთმორწმუნე ბიზანტიასთან კავშირის მომხრე იყო და სპარსეთმა ეგრის-ლაზიკის სამეფო ვეღარ დაიპყრო.

532 წელს ბიზანტიასა და სპარსეთს შორის ე.წ. **"მარადიული ზავი"** დაიდო და სპარსელები საბოლოოდ გავიდნენ ეგრისიდან.

თითქოს ამით უნდა დამთავრებულიყო ეგრის-ლაზეთის სამეფოს დასაპყრობად სპარსეთის ბრძოლა, მაგრამ, სამწუხაროდ, ასე არ მოხდა – 550-555 წლებში, სპარსელები ოთხჯერ შემოესივნენ ეგრის-ლაზეთის სამეფოს, გუბაზ II-მ წარმატებით მოიგერია მათი შემოტევები.

სხვათა შორის, ცნობილია სპარსელებთან ომის წინ გუბაზ II-ის მიმართვა თავისი ჯარისადმი: – **"მე არ იცი, ვაჟკაცებო, საჭიროა თუ არა კიდევ რჩევა-დარიგებით მიმართვა თქვენდამი, თქვენს აღსაფრთოვანებლად, ვინაიდან მე ვფიქრობ, რომ არავითარი მოწოდება აღარ ესაჭიროება იმათ, ვინც გარემოებების საჭიროებითაა უკვე აღფრთოვანებული, რაც ახლა ჩვენს პირობებში ხდება. საფრთხე არსებობს ჩვენი მეუღლეებისათვის, შვილებისათვის, სამშობლო ქვეყნისათვის, ერთი სიტყვით, ყველაფრისათვის, რაც ჩვენთვის ძვირფასია, ამის გამო სპარსელებმა ჩვენზე იერიში მოიტანეს, არავინ არაფერს დაუთმობს იმათ, ვინც რასმე ართმევს მისი ქონებიდან ძალით, ვინაიდან ბუნება აიძულებს ადამიანს, იბრძოლოს თავის საკუთრების დასაცავად. ჩვენ კარგად ვიცით, რომ წინ არაფერი უდგას სპარსელების ანგარებას, როდესაც მათ ეს სურთ. თუ ისინი ამ ომში გაიმარჯვებენ, არა თუ მხოლოდ დაგვიმორჩილებენ, ან ხარკს დაგვადებენ, ან სხვა რამესაც დაისაკუთრებენ. ნუ დავივიწყებთ იმასაც, რომ ამას წინათ ხოსრომ (ირანის შაჰმა) ჩაიდინა ჩვენს მიმართ, მაგრამ დაე, სიტყვის ფარგლებში ნუ დაგვრჩება სპარსთა საქმეები, დაე, ნუ შეილახება ლაზთა გმირული სული, ძნელი არ არის, ვაჟკაცებო, სპარსთა წინააღმდეგ ბრძოლა, ჩვენ ხომ მათთან ბრძოლა ბევრჯერ მოგვიგია ხელჩართულ ომში. გამოცდილი ვაჟკაცებისათვის არ არსებობს არავითარი სიძნელე, ვინაიდან საქმის სიძნელე ადვილდება სიბეჯითისა და გამოცდილების წყალობით. ასე რომ, სასურველი იქნება იხილოთ მტერი დამარცხებული და არა თქვენსავით აღფრთოვანებული. გახსოვდეთ, რომ ერთხელ დამორჩილებული სიამაყე ჩვეულებრივ ვეღარ აღორძინდება. მაშ, იქონიეთ ეს მხედველობაში და შეებრძოლეთ მტერს აღვსილნი კეთილი იმედებით".** (**"გეორგიკა"**, ს. ყაუხჩიშვილი, II ტომი, გვ. 148).

როგორც იმ ეპოქის მემატიანეები გვამცნობენ, ამ სიტყვას აღუფრთოვანებია ლაზები და დაუმარცხებია სპარსები.

ეს მიმართვა მეტყველებს იმაზე, რომ გუბაზ II უაღრესად განათლებული პიროვნება იყო და ბრწყინვალედ ფლობდა რიტორიკის ხელოვნებას.

მეცნიერთა ვარაუდით, შესაძლებელია, მას დამთავრებული ჰქონოდა კოლხეთის აკადემია, რომელიც ფაზისში III საუკუნიდან არსებობდა.

ეტყობა, სპარსელები ხვდებოდნენ, რომ ეგრისის სამეფოს დაპყრობაში ბიზანტიელებზე მეტად ხელს სწორედ ლაზები უშლიდნენ, რომლებსაც გუბაზ II-სთანა ძლიერი მეფე ჰყავდათ.

სწორედ ამით იყო განპირობებული ის, რომ, სპარსეთის შაჰი ყველა მეთოდს იყენებდა მის მოსაშორებლად.

ისტორიაში ცნობილია, რომ სპარსეთის შაჰმა გუბაზ II-ის მოკვლა მასთან დაპირისპირებულ ეგრისელ დიდებულს, ფარსმანს დაავალა, მაგრამ პირადი მტრობის მიუხედავად, მან არ უღალატა მეფეს, თავის ქვეყანას, მეტიც, მეფე გააფრთხილა მოსალოდნელი საფრთხის შესახებ.

აი, როგორი ღირსეული წინაპრები გვყავდა, ისინი საკუთარი ქვეყნის ჭეშმარიტი პატრიოტები იყვნენ და სამშობლოს ინტერესებს პირადულზე მაღლა აყენებდნენ.

მართალია, იმ ეპოქაში, ეგრის-ლაზეთი ბიზანტიის იმპერიის ქვეშემრდომ ქვეყანად ითვლებოდა, მაგრამ გუბაზ II-ის დროს, სამეფომ აშკარად მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია. რაც მთავარია, ეგრისის სამეფო ისევ აღსდგა თავის ისტორიულ საზღვრებში.

ბიზანტიელი მოღვაწის ეპიფანეს (VI საუკ.) თხზულებიდან ჩანს, რომ იმ ეპოქაში **"ტრაპეზუნტი"** ლაზიკის დედაქალაქი იყო.

სწორედ ეგრისის სამეფოში ლაზების ზეობის ეპოქაში დაარსდა, ეგრისის ჩრდილო-დასავლეთ საზღვარზე, ქალაქი **"ლაზიკე"**, რომელსაც შემდგომში ეწოდა ნიკოფსია (დღევანდელი ტუაფსეს მოდამოები).

ამდენად, გუბაზ II-ის ეპოქაში, ეგრის-ლაზეთის სამეფო მოიცავდა მთელ დასავლეთ საქართველოს, სამხრეთით მცირე აზიიდან, ჩრდილოეთით ქალაქ ლაზიკამდე და აღმოსავლეთით – ლიხის ქედამდე.

ზუსტად არ არის დადგენილი, იმ ეპოქაში, ეგრის ლაზეთის სამეფოს დედაქალაქი სად მდებარეობდა, მეცნიერები ვარაუდობენ, რომ დედაქალაქი იყო ანტიკური ქალაქი, **"ციხე-გოჯი"** (დღევანდელ სენაკის რაიონში).

ყოველ შემთხვევასი, ირკვევა, რომ გუბაზ II უაღრესად სწორ პოლიტიკურ კურსს ადგა და, ფაქტობრივად, ინარჩუნებდა დამოუკიდებლობას, რაც, ეტყობა, მიუღებელი იყო როგორც სპარსეთისათვის, ისე ბიზანტიისათვის. განსაკუთრებით ბიზანტიელი მოხელეებისათვის, რომლებიც ეგრის-ლაზეთში მოღვაწეობდნენ.

554 წელს სპარსეთი ისევ დასხმია ეგრის-ლაზეთის სამეფოს და, სამწუხაროდ, კიდეც დაუმარცხებია ლაზებისა და ბიზანტიელების ერთიანი ჯარი. ყურადსაღებია, რომ გუბაზ II ამ დამარცხებაში ბიზანტიელ სარდლებს მარტინეს, ბესას და რუსტიკეს ადანაშაულებდა. ჰოდა, განაწყენებულმა სარდლებმა, ღალატით, ვერაგულად მოკლეს ეგრის-ლაზეთის დიდი მეფე გუბაზ II, მდინარე ხობის ნაპირას.

ბუნებრივია, ამან ხალხი აღაშფოთა, იქვე დაიბადა აზრი, რომ დასახმარებლად მიემართათ სპარსეთისათვის და დაპირისპირებოდნენ ბიზანტიას.

მართლაც, 554 წელს, ეგრის-ლაზეთის სამეფოს დიდმა საერთო კრებამ განიხილა ქვეყნის პოლიტიკური ორიენტაციის საკითხი.

აღფრთოვანებას იწვევს ლაზი დიდებულების ფარტასისა და აიეტის მიმართვა თანამემამულეებისადმი, რომელიც უაღრესად სწორი პოლიტიკური ანალიზით გამოირჩევა და ქართული რიტორიკის ნიმუშად ითვლება.

ცნობილი ქართველი მეცნიერი სიმონ ყაუხჩიშვილი წერს: **"ამ წარჩინებულ კოლხებს, აიეტსა და ფარსმანს, სწორედ თავის ქვეყანაში ექნებოდათ მიღებული რიტორიკული განათლება, სწორედ იმ სკოლაში, სადაც ორი საუკუნის წინ სწავლობდა ბერძენი თემისტორი და მისი მამა ევგენიოსი".**

საბედნიეროდ, ისტორიას შემორჩა მათი გამოსვლის ფრაგმენტები, ორივე მართლაც ბრწყინვალე ორატორია.

აიეტი სპარსული ორიენტაციის მომხრეა, რადგანაც თვლის, რომ ბიზანტიელებმა, გუბაზ II-ს მოკვლით, საშინელი და მიუტევებელი დანაშაული ჩაიდინეს.

მართალია ფარტასიც აღშფოთებულია ბერძენი სარდლების ვერაგობით, მაგრამ მაინც ბიზანტიური ორიენტაციის მომხრეა, ვინაიდან ბიზანტის ერთმორწმუნე ქვეყანაა.

კრების უმრავლესობამ ფარტასს დაუჭირა მხარი და ამაში, სწორედ, ქრისტიანულმა სარწმუნოებამ ითამაშა გადამწყვეტი როლი, ვინაიდან მართლმადიდებელი ბიზანტიელები უფრო სანდო მოკავშირეებად მიიჩნიეს, მით უმეტეს, ბიზანტიელები გარკვეულ დათმობებზე წავიდნენ – სიკვდილით დასაჯეს გუბაზ II-ის მკვლელები.

თანაც ბიზანტიის იმპერატორმა დააკმაყოფილა ლაზების მოთხოვნა და ეგრისის მეფედ დაადგინა გუბაზ II-ის ძმა, წათე II, რომელიც იმპერატორის კარზე იმყოფებოდა.

აღსანიშნავია ერთი გარემოებაც: III-VII საუკუნეებში ეგრის-ლაზეთის სამეფოში აკადემიის არსებობა მეტყველებს ხალხის განათლების მაღალ დონეზე. ბუნებრივია, რომ გუბაზ II-ის, აიეტისა და ფარტასის გარდა, სხვაც ბევრი იღებდა, იქ, განათლებას.

მეცნიერები ვარაუდობენ, რომ, იმ ეპოქის ევროპული რენესანსის ფუძემდებლის პეტრე იბერის (იგივე დიონისე არეოპაგის) აღმზრდელს და მასწავლებელს იოანე ლაზს, სწორედ, ეს აკადემია ჰქონდა დამთავრებული.

აღიარებულია, რომ კულტურა და განათლება იმ ქვეყანაში იყო მაღალ დონეზე, სადაც რელიგია მნიშვნელოვან როლს ასრულებდა სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში.

მართლაც, იმ ეპოქაში (III-VII საუკუნეები), ლაზიკაში ქრისტიანობა მყარად იყო დამკვიდრებული და ლაზებიც ჭეშმარიტი მართლმადიდებლები იყვნენ.

I საუკუნეში მოღვაწეობდნენ ეგრისის (კოლხეთის) სამეფოში ცნობილი საეკლესიო მოღვაწენი ანდრია პირველწოდებული და სიმონ კანანელი, რომლებმაც გაავრცელეს ქრისტიანობა

სწორედ პირველი საუკუნიდან არიან კოლხები (მეგრელები), აფხაზები და სვანები ქრისტიანები.

ამაზე მეტყველებს ის ფაქრი, რომ, 325 წელს, რომის საეკლესიო კრებას ესწრებოდნენ ბიჭვინთისა და ფაზის-ტრაპიზონის ეპისკოპოსები, ხოლო სანამ ეს საეპისკოსოები ჩამოყალიბდებოდნენ, ქრისტიანობა დიდი ხნის გავრცელებული უნდა ყოფილიყო.

ბერძნული წყაროები გვამცნობენ, რომ, შავი ზღვის სანაპიროზე, II-III საუკუნეებიდან არსებობდა ეპარქიები: ბიჭვინთის, სებასტოპოლისის (დღევანდელი სოხუმი) და ფაზისის. სწორედ, ფაზისის ეპარქიაში შედიოდა ლაზიკა.

შემდგომში მათ მიიღეს ავტოკეფალია.

ფაზისის ეპარქიის სათავეში იდგა ფაზისის მიტროპოლიტი, რომელსაც ექვემდებარებოდა ოთხი ქალაქის ეპისკოპოსი: როლოპოლისის, საისინთა, პეტრას და ზიგანევთა.

ის, რომ ფაზისის ეპარქიას ექვემდებარებოდა როლოპოლისის (ვარდციხის) ეპისკოპოსი, შესაძლებელია მიგვანიშნებდეს, რომ გუბაზ II-ის ეპოქაში იბერიის (ქართლის) გარკვეულ ნაწილზე მისი გავლენა ვრცელდებოდა.

ყოველ შემთხვევაში, ეგრის-ლაზეთის სამეფომ გუბაზ II-ის ეპოქაში გამორჩეულ სიძლიერეს მიაღწია.

555 წელს, სპარსელები კვლავ შემოესივნენ ეგრის-ლაზეთის სამეფოს, ნახორაგანის სარდლობით, მაგრამ წათე II-ის მეთაურობით, კოლხებისა (მეგრელ-ლაზების) და ბიზანტიელების ერთობლივი ჯარი სპარსელებს ანადგურებს.

სწორედ, წათე II-ის მეფობის ეპოქაში დასრულდა **"დიდი ომიანობა"** ბიზანტიასა და ირანს შორის, რასაც მოჰყვა 562 წლის ზავი. ამის შემდეგ ბიზანტიამ საბოლოოდ განიმტკიცა პოზიციები, მაგრამ, ეგრის-ლაზიკის სამეფოსა და ბიზანტიის იმპერიას შორის უფრო პარტნიორული კავშირი უნდა ყოფილიყო, ვინაიდან შემდგომში, მათ შორის რაიმე კონფლიქტური სიტუაცია ისტორიაში არ ჩანს.

სამწუხაროდ, ამ დროიდან, თითქმის, VIII საუკუნის II ნახევრამდე, ეგრის-ლაზეთის სამეფოზე ცნობები, ფაქტობრივად, არ არსებობს. ეტყობა, სამეფოში რაიმე მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენა არ ყოფილა.

ბუნებრივია, ეგრის-ლაზეთის სამეფო რეალურად არსებობდა, მაგრამ ნომინალურად. მას, ძირითადად, ბიზანტიელები განაგებდნენ. არც ისაა ცნობილი, სამეფოს სათავეში ისევ ლაზური დინასტია იყო, თუ – არა.

ეს კი უდავოა, რომ ეგრისის სამეფოში, ამ ეპოქაში, გაცილებით უკეთესი მდგომარეობა იყო, ვიდრე იბერიის (ქართლის) სამეფოში – სპარსებმა, ქართლში მეფობა გააუქმეს (535 წელი), VII საუკუნეში იგი არაბებმა დაიპყრეს და იქ ერისმთავრობაც გააუქმეს, ხოლო არაბებს ეგრისის სამეფო, ფაქტობრივად, არ დაუპყრიათ.

ეგრისის სამეფოშიც იყო არაბების ერთი მაოხარი ლაშქრობა, მურვან ყრუს მეთაურობით (735-737 წლები), რომელიც ეგრისის სამეფოში თავშეფარებული იბერიის (ქართლის) ერისმთავრების – არჩილისა და მირის შესაპყრობად განხორციელდა. მართალია, ეგრისში მურვან ყრუს შემოსევა სისასტიკით გამოირჩეოდა, მაგრამ მანაც დიდი ზარალი ნახა, 35 ათასამდე ჯარისკაცი დაეღუპა, თანაც ვერ აიღო ანაკოფიის ციხე (დღევანდელი ახალი ათონი), სადაც მირი და არჩილი იმალებოდნენ და უკანვე დაბრუნდა.

ამ დროს, ეგრისის სამეფოს სათავეში, ლაზები არ ჩანან. ეტყობა, ეგრისის სამეფოში, უკვე, აფხაზთა საერისთავო უფრო დაძლიერებულია, რაზეც ის გარემოებაც მეტყველებს, რომ არჩილი და მირი სწორედ, აფხაზეთს აფარებდნენ თავს.

მურვან ყრუს პირველი წინააღმდეგობა ეგრისის განაპირა საერისთავოში, მარგვეთში შეხვდა, მაგრამ არაბებმა დაამარცხეს მარგველები და ტყვედ ჩაიგდეს მათი მთავრები – დავითი და კონსტანტინე მხეიძეები. მურვან ყრუმ მათ ისლამზე გადასვლა შესთავაზა, რაც მათ კატეგორიულად იუარეს.

დავითი და კონსტანტინე სიკვდილით დასაჯეს. ხალხმა დაიფასა მათი თავდადება, ისინი წმინდანებად არიან შერაცხულები და მოწამეთას ეკლესიაში განისვენებენ.

სხვათა შორის, მემატიანე მარგვეთს, უკვე, ლაზეთად არ მოიხსენიებს და დავითს და კონსტანტინეს ლაზებად, რაც მეტყველებს იმაზე, რომ, ამ დროს, ეგრისი უკვე ლაზეთად არ იწოდებოდა.

**ანზორ შონია,**
**"ფაზისის" აკადემიის ნამდვილი წევრი**

*სერგეი კრემლიოვი*

# ბერია — XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი

თარგმანი **როლანდ ჯალაღანიასი**

ამიტომაც **"დააგვიანეს"** ამ ორგანოებმა 4 წლით... ტროცკისტებს, რა თქმა უნდა, აპატიმრებდნენ, ასახლებდნენ და ხვრეტდნენ კიდეც. მაგრამ, მაშინ მათი რაოდენობა ხომ რამდენიმე ასეულ ათასს შეადგენდა. ასე რომ, 1929 წელს ტროცკის გაძევების შემდეგაც კი მისი მომხრეების არმია საკმაოდ დიდ ძალას წარმოადგენდა.

1936 წლის შემოდგომაზე, როცა იაგოდა წავიდა შინსახკომიდან, 110 ხელმძღვანელი მუშაკიდან უკვე რუსი იყო 33, ებრაელი – 42,5 პოლონელი, 9 ლატვიელი და 2 გერმანელი.

ეჟოვის დროს კი – 1938 წლის 1 სექტემბერს, 150 ხელმძღვანელი მუშაკიდან უკვე იყო 85 რუსი, ებრაელთა რიცხვი კი შეადგენდა 32-ს. აქ საქმე მხოლოდ ეჟოვში არ იყო. 1938 წლის მაისში გამოვიდა კანონი, რომელიც უკრძალავდა შინსახკომის სისტემაში მუშაობას იმ ხალხს, ვისაც ნათესავები ჰყავდა საზღვარგარეთ და წარმოშობით წვრილბურჟუაზიული ოჯახებიდან იყვნენ. ასეთები კი უხვად მოიძებნებოდა სწორედ ებრაელებს შორის.

ეზოში კი უკვე 1938 წელი იდგა და თანდათან ირკვეოდა, რომ ტყეში **"დამპალი ხეების"** კვალდაკვალ იჭრებოდა უამრავი **"სადი ხე"**.

მაგრამ ვინ და როგორ კაფავდა ამ **"ტყეს"**?

1938 წლის 19 იანვარს **"პრავდაში"** გამოქვეყნებული იყო ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ **"ამ დღეებში"** დამთავრდა ცეკას პლენუმი, რომელმაც განიხილა **"პარტორგანიზაციის შეცდომები, რომელიც დაშვებულია კომუნისტთა პარტიიდან გარიცხვისას და ამ საქმეში გამოვლენილი ბიუროკრატიზმის თაობაზე"**.

დადგენილება ასე იწყებოდა: **"სკკპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა არაერთგზის მოსთხოვა პარტიულ ორგანიზაციებსა და მათ ხელმძღვანელებს, რომ ყურადღებითა და გულისხმიერებით განეხილათ თითოეული კომუნისტის პარტიის რიგებიდან გარიცხვისა და არასწორად გარიცხულთა აღდგენის საკითხი..."**

შემდეგ მოყვანილი იყო სტალინის მიერ 1937 წლის თებერვალ-მარტის პლენუმზე ამ საკითხთან დაკავშირებით გამოთქმული მოსაზრება და ოდნავ ადრე ცეკას მიერ გამოცემული დირექტივა. შემდეგ მოდიოდა იმ რეგიონების ჩამონათვალი, რომელთაც განსაკუთრებით **"გამოიჩინეს თავი"** ამ საქმეში. მოვიყვანთ ორი რეგიონის – რსფსრ კუიბიშევის ოლქის და უკრაინის სსრ კიევის ოლქის მონაცემებს:

**"ჩერნიგოვის რაიონში აღრიცხვაზე მყოფი 210 კომუნისტიდან 50 მათგანი გარიცხეს პარტიიდან, შინსახკომმა კი გამოძიებით 43 გარიცხულის ბრალეულობა ვერ დაადასტურა."**

უკრაინის კომპარტიის (ბ) კიევის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, ხალხის მტერი კუდრიავცევი თათბირებზე მუდამ უსვამდა სიტყვით გამომსვლელ კომუნისტებს პროვოკაციულ შეკითხვას: **"თქვენ კი ამხილეთ ვინმე? ამ პროვოკაციის შედეგად კიევში რამდენიმე დღის განმავლობაში შევიდა პოლიტიკური პროვოკაციული განცხადებები, რომელთა მეტი წილი შეთხზული და სრულიად უსაფუძვლო გახლდათ"**.

ესეც ასე! ისმის შეკითხვა –ვინ აფართოებდა უსაფუძვლოდ რეპრესიათა მასშტაბებს – **"ჯალათი"** ეჟოვი მისი ადგილობრივი ხელქვეითები ან ფარული ოპოზიციონერები?

პასუხი, რა თქმა უნდა, ყოველი კონკრეტული შემთხვევისას სხვადასხვა იქნება – ურთიერთსაწინააღმდეგოც კი. მაგრამ, გასააზრებელი აქ უამრავი რამაა.

და მართლაც, ყველაფერი არ მიმდინარეობდა ერთმნიშვნელოვნად, ძვირფასო მკითხველო. შემდეგ ფუნქციონერი ხრუშჩოვისათვის ხელსაყრელი იყო, რომ ყველაფერი შინსახკომისათვის, ეჟოვისა და ბერიასათვის დაებრალებინა... მაგრამ შინსახკომის პროფესიონალები ხშირად დიდ დროს ანდომებდნენ იმ უბედურობების განეიტრალებას, რასაც მათი პარტიული ბოსები დაატრიალებდნენ ხოლმე.

თუმცა, პროფესიონალებს სამუშაო ისედაც თავსაყრელად ჰქონდათ. აი, მეორე დოკუმენტიც – **"სპეციალური შეტყობინება პარტდოკუმენტების შემოწმების შედეგად დადგენილი სკკპ (ბ)-დან გარიცხული პირების კონტრრევოლუციური განწყობის შესახებ კურსკის ოლქსა და საქართველოში"**. ეს კი **"პრავდაში"** არ გამოქვეყნებულა, იმიტომ, რომ გადიოდა გრიფით **"სრულიად საიდუმლო"**.

საკავშირო სახკომსაბჭოს უშიშროების მთავარი სამმართველოს უფროსი, უშიშროების მეორე რანგის კომისარი მოლჩანოვი 1936 წლის 14 თებერვალს სტალინსა და ეჟოვს აუწყებდა საქართველოში შექმნილი მდგომარეობის შესახებ:

**"შესამჩნევია პარტიიდან გარიცხულთა კონტრრევოლუციური აქტივობა... უპირველესად ტროცკისტების...**

**სკკპ (ბ) რიგებიდან გარიცხულთა განწყობის აანალიზიდან ჩანს, რომ ისინი ქმნიან კონტრრევოლუციურ დაჯგუფებებს, შედარებით გაბოროტებულები კი ამჟღავნებენ ტერორისტულ მისწრაფებებს.**

**პარტიული საბუთების გადამოწმების შემდეგ საქართველოს შინსახკომის მიერ დაპატიმრებული 460 ადამიანი, მათ შორის:**

**ტროცკისტები – 136**

**ანტისაბჭოური პოლიტპარტიათა წევრები – 157**

**პარტბილეთიანი თაღლითები – 167".**

ეს მხოლოდ რეალური საფრთხეა! მაგრამ შეტყობინებაში საუბარია კიდევ 90 გამოვლენილ ტროცკისტზე, საერთო ჯამში კი ეს 550 ადამიანს შეადგენს. უბრალო სტატისტიკით შეიძლება იმის დადგენა, რომ ყველა მტერი არ ლაყბობს. თანაც, საშიშია სწორედ ის ძაღლი, რომელიც არ იყეფება და მიპარვით კბენს ადამიანს. თანაც, შინსახკომის მხედველობის არეში ყველა მტერი როდი ხვდება.

თუ ჩვენ ერთმანეთს შევუდარებთ ბერიას მიერ მოთხოვნილ ლიმიტს (1.419 ადამიანის დახვრეტა და 1.562 ადამიანის გადასახლება) მოლჩანოვის მიერ მიწოდებულ მონაცემებთან, ნათელი ხდება, რომ ბერია საქართველოში სრულიადაც არ **"ჯალათობდა"**. ახლა გთავაზობთ, ყოველგვარი კომენტარის გარეშე, ცნობებს საქართველოს თაობაზე, რომელიც მოპოვებული იქნა აგენტურის მეშვეობით...

**"საჭიროა გავძლოთ რამდენიმე თვე. შემდეგ დაიწყება იაპონიასთან ომი, ხალხი ჩვენ გამოგვყვება და ხელისუფლებასაც ხელში ჩავიგდებთ"** (პარტიიდან გარიცხული ტროცკისტი).

**"გამოსავალი ომშია. როცა ჩვენ, ხანდაზმულებს დაგვიძახებენ, ძალაუფლებაც ჩვენს ხელში გადმოვა"** (პარტიიდან გარიცხული ტროცკისტი).

**"გემთმშენებელ ქარხანაში ჩვენ დიდი ორგანიზაცის გვაქვს. მთელი ბალტიის ფლოტი ჩვენია. ჩვენ გვაქვს კავშირი მოსკოვთან. ახლა მეტად მკაცრები უნდა ვიყოთ"** (ტროცკისტი კალანდაძე, დასაპატიმრებელია).

**"მე მინდა ვიყო პარტიაში მხოლოდ იმიტომ, რომ ხალხში ავტორიტეტი არ დავკარგო. მენშევიკები უეჭველად გაიმარჯვებენ. საქართველოში კომუნისტები ვერ გაიმარჯვებენ"** (პარტიიდან გარიცხული ტროცკისტი გოგოტიშვილი).

სახალისო ინფორმაციაა – სურს პარტიაში ყოფნა იმიტომ, რომ ხალხში ჰქონდეს ავტორიტეტი. უნებური აღიარებაა, მაგრამ საკმაოდ ფასეული.

**"ქალაქში ჩვენ არაფერი გამოგვივა, საჭიროა აქცენტის გადატანა სოფლებში..."** (დაპატიმრებული ბერძენიშვილი).

ნამდვილად ასეა – მაშინ გლეხისათვის თავბრუს დახვევა უფრო იოლი საქმე გახლდათ...

**"მე არ მაინტერესებს პარტბილეთი. პარტბილეთის მეშვეობით მე საქმის კურსში ვიყავი პარტიაში მიმდინარე მოვლენებზე"** (პარტიიდან გარიცხული ტროცკისტი ვაშაკიძე).

**"რა თქმა უნდა, მე არ მსურს, რომ რუსეთი განადგურდეს. მე მხოლოდ ის მინდა, რომ ქვეყნის სათავეში მყოფი ახალგაზრდა კომუნისტები დააპატიმრონ და მათ ადგილებზე დაინიშნონ ძველი ბოლშევიკები"** (კალანდაძე, გაიარა პარტიული შემოწმება).

**"მე დავუმალე პარტიას, რომ ტროცკისტი ვიყავი. უნდა მოვითმინოთ, ვიყოთ ფრთხილად, დავეთანხმოთ მათ წინადადებებს. დავუკრათ ტაში, თუ ეს საჭირო იქნება"** (სეფერთელაძე, შემოწმება გაიარა).

ეს არ გახლდათ უბრალო **"ორომტრიალი"**... სტაბილურ პერიოდში ამას არად მიიჩნევდა ადამიანი. მაგრამ **"არასტაბილურში"**? ასეთ **"მტერუკებს"** ხომ უამრავი სისხლის დაღვრა შეეძლოთ?

მაგალითისათვის მოვიყვანთ კურსკის ოლქის გრაივორონის რაიონში მიჩქმალულ ყოფილ **"პარტიელთა"** ჯგუფს:

**ტიშჩენკო**, კულაკი, მუშაობდა რაიკომის ინსტრუქტორად.

**ნოვომლინსკი,** ყოფილი კულაკი, მუშაობდა მანქანა-ტრაქტორთა სადგურის გარაჟის უფროსად.

**ზახაროვი**, ყოფილი კულაკი, ქალაქის საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე.

**სოლოშჩენკო**, ყოფილი კულაკი, ადრე მუშაობდა რაიონის მიწათმოქმედების განყოფილების გამგედ.

**ტვერდოხლები,** ყოფილი კულაკი, აგურის ქარხნის მფლობელი, ქალაქის საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე.

**უსტინოვი**, გარიცხულია მექრთამეობისათვის, რაიონის ყოფილი პროკურორი...

როგორი კრებულია?

ყველანი ისინი მზად იყვნენ დაუფიქრებლად გაწევრიანებულიყვნენ ბანდაში, თუკი იგი სადმე ჩამოყალიბდებოდა.

საბედნიეროდ, ეს ჯგუფი მალევე იქნა მხილებული და გაუვნებელყოფილი. და ასეთი დაჯგუფება არ იყო ერთადერთი კურსკის ოლქში – ანალოგიური ჯგუფები სხვა რეგიონებშიც აქტიურად მოქმედებდნენ.

ამასთან საბჭოთა მმართველობის ორგანოებში მტრული ელემენტების დანერგვა ხდებოდა რუსეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველივე დღეებიდან, ხდებოდა ფარულად, მეთოდურად, მიზანსწრაფულად.

ასე მაგალითად, მომავალმა საბჭოთა კავშირის გმირმა დიმიტრი მედვედევმა (მაშინ იგი უკრაინის პოლიტსამმართველოს ოდესის განყოფილებაში მუშაობდა) ჩეკისტების ჯგუფთან ერთად გაანადგურა ბანდა **"ბიმ-ბომი"**, რომელიც შედგებოდა უკრაინელი კულაკებისა და ებრაელი მძარცველებისაგან (როგორც ხედავთ, მძარცველების ნაკლებობას მაშინ არცერთი ერი არ განიცდიდა). ბანდას სათავეში ედგნენ კულაკი ფილკა ტელეგინი და პროფესიონალი ქურდი აბრამ ლეხერი... და ერთ-ერთი სოფლსაბჭოს თავმჯდომარე გრიგორი როშკოვსკი.

ამ ბანდიტებს სპეციალურად გაჰყავდათ **"თავისიანები"** ადგილობრივი საბჭოების თანამდებობის პირებად.

ვიღაცეები ამხილეს 20-იან წლებში...

ვიღაცეები ამხილეს 30-იან წლებში...

ვიღაცეები კი ვერასოდეს ამხილეს.

შემდეგ ადგილი ჰქონდა მეორე ღალატს – 1937 წლის შემოდგომაზე ქვეყანაში აღარ დაბრუნდა ჰოლანდიაში არალეგალური რეზიდენტი, უშიშროების კაპიტანი ვალტერ გერმანეს ძე კრივიცკი (სამუელ გერშონის ძე გინზბერგი), სხვათა შორის, ისიც ბერიას თანატოლი.

კრივიცკისაც რეისესნაირი ბიოგრაფია ჰქონდა: დაიბადა ავსტრო-უნგრეთში, ქალაქ პოდვოლოჩისკეში, ისიც მსახურობდა მუშურ-გლეხური წითელი არმიის სადაზვერვო სამმართველოში და პოლიტსამმართველოს უცხოეთის განყოფილებაში, დაჯილდოებული იყო **"წითელი დროშის"** ორდენით.

კრივიცკიმაც დიდი დარტყმა მიაყენა საბჭოთა ორგანოებს: დანაშაულებრივად დაუკავშირდა ტროცკის შვილს ლევ სედოვს, და რაც მთავარია, ასზე მეტი ჩვენი აგენტი **"ჩაუშვა"** და დააჭერინა **"ინტელიჯენს სერვისს"**.

შედარებით ობიექტური ავტორებიც კი არც თუ იშვიათად აბრალებენ 1937-1938 წლებში ჩვენი საგარეო დაზვერვის სფეროში არსებულ სერიოზულ ხარვეზებს ეჟოვის სისხლიან რეპრესიებს. მაგრამ, ჩვენი უამრავი გამჟღავნებული მზვერავის ცოდვა კრივიცკის კისერზეა და არა ეჟოვის. ჩავარდნილი მზვერავების რიცხვი კი საკმაოდ შთამბეჭდავი გახლდათ. ეს კი დიდი დანაკარგი გახლდათ, რადგან შინსახკომის გარე დაზვერვის სამმართველო საველე დივიზია არ გახლავთ და იქ ერთი ადამიანის საქმიანობასაც კი გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება.

კრივიცკისთან ერთად კი 1938 წლის ივლისში მოღალატეთა რიგებში აღმოჩნდა ალექსანდრე ორლოვიც (ლეიბა ლაზარეს ძე ფელდბინგი, რომელიც შინსახკომში ცნობილი იყო როგორც ლევ ნიკოლსკი).

უშიშროების უფროსი მაიორი (თითქმის გენერალი) ორლოვი დიდძალ ინფორმაციას ფლობდა. იგი შინსახკომის გარე დაზვერვის რეზიდენტი იყო საფრანგეთში, ავსტრიაში, იტალიაში, იყო მრჩეველი ესპანეთში (საიდანაც გაიქცა ამერიკის შეერთებულ შტატებში).

*გაგრძელება იქნება*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მეგრული პოეზიის რაფსოდია

## *გაზეთი "ილორი" აგრძელებს ლექსების ციკლის ბეჭდვას ცნობილი ქართველი პოეტის ლაშა გახარიას წიგნიდან "ირიათონი" (ბექილია-ნაბორდიშა).*

*მითინც ვაუჩქ სქან ალკვალი,*
*ვაულანტგქ დიო თოლცგ,*
*ტანშა გემშეხვარხვალუქინ –*
*ბუძგურია იბორბოცგ;*

*გოკონ – ქუას ქაბირუა,*
*გოკონ – თელო დინკორქ კოცგ,*
*სქან მაჭარით ნალეცერებ*
*მესეფ ხოლო იკორკოცგ.*

*მინ მუზათგ გიწურუანც,*
*მინ – ღორონთიშ ჭყოლოფათგ,*
*ხანგობასით გაწამენა –*
*გინოკინელც ყოროფათგ.*

*მინც დაჩხირო გათანკარქგ,*
*მინც – გამორსქ ჭოროფათგ,*
*ირფელ აკოკგრილ გაფუ,*
*აკოწგრხელ – ჩხოროფათგ!*

*ვართ მა მოსიმ, მი რექგნი –*
*მუ შური დო ჭყანა რექგ?!*
*ქოთ-კილესგ გილაბუგარქგ,*
*ქოთ – ლაფარას ალარექგ,*

*ჩქიმ დო ყოროფილიშ შქასგ*
*ასაფულირ ყამა რექგ,*
*ჭარა რექგ, უჩურცხებუ,*
*ვამირსხგდა... სამარექგ!*

*მარა, თექით გენმათხოზუქ –*
*ვამაცალე ტომბა ლურცუ,*
*ხანგაცალო გამწმოყოთა*
*პიჩვან – კგლე-განწყუმურცუ;*

*ჰამას ქიგნმობირდინუა*
*კუჭუხაშე ჩქიმ მუხურცუ,*
*შურ თექ მიხე, სოდეთ ხობწყარ*
*ნაცხაშ კონკერც ათაფუნცუ!*

*თეთი მიჩქგ: თე ქიანას*
*რინას წამანწარექგნი*
*თეშენი რე ჩქიმ ოროსე*
*ჩხორიათგ გარექგნი;*

*მუ ფჩი, დღაშა მიყორქგნი,*
*ჩქიმ თუთა დო ბჟა რექგნი,*
*ზღვა ჩილამურ ქუდვობენი,*
*იშენ ველმანგარექგნი?!*

*მარა მა მი გგმაგენცვ,*
*მუ ალარძგნ ყურუმ გურცუ,*
*ჯაშ მაკვათალ მუს გიგორგნც*
*მუკომოცხილ ნახაფულცუ...*

*სოიშახ გილმობაწარუა,*
*სი უჩხვიჩხვე, მა – დგუმურცუ,*
*მუჟამ აშამფურინუა, –*
*მაჭირხოლო, – კუთილ შურცუ?!*

**არ ჩანს შენი ალიკვალი**
**არავის და-ულანდიხარ,**
**ტანში შეჟრუანტელდები –**
**ბურძგალ-ბუსუსად გამოაყრი.**

**გინდა ქვასაც აამღერებ,**
**გინდა – ცოცხლად დაწვავ ცეცხლზე,**
**შენი მაჭარდალეული**
**მესეფეებიც (წარმართული ღვთაება) კისკისებენ,**

**ზოგნი მუზად გითვლიან, ზოგს კი ღვთის წყალობად მიაჩნიხარ,**
**გიჟობასაც გაბრალებენ –**
**სიყვარულით გახელებულს.**

**ზოგს ცეცხლივით მოედები,**
**ზოგს ჭოროფად (ავდარი) ექსოვები,**
**ყველაფერი შეკრული გაქვს**
**ცხრაფად ცხრაჯერ დაწრეხილი.**

**მე არ ვიცი ვინ ხარ, რა ხარ,**
**ვინ სულდგმა და რა ძალა ხარ,**
**ხან ჩემს მკლავზე ნებივრობ და**
**ხანაც ლაფაროში დგახარ.**

**ტურფა სატრფოს და ჩემს შორის**
**ჩამალული ხმალივით ხარ,**
**ბედისწერა ხარ მუდმივი,**
**თუ სიკვდილმა არ დამიხსნა.**

**მაგრამ იქაც თან დამყვები,**
**არ დამაცლი მე ღრმა ძილსა,**
**შეშლილივით წამომაგდებ**
**მარხვა – კილე-განწყუმურსა**
**(მკლავის გახსნა).**

**ისევ გარდა-მომახედებ**
**კუჭუხიდან (ბორცვი) დედა-მუხურს...**
**სული იქ არს, ხობისწყალი,**
**სადაც ნაცხას (ხიდი) წვივს ეხლეგა.**

**ისიც ვიცი, ქვეყანაზე**
**სიცოცხლეს რომ გამიმწარებ...**
**ამიტომ არს ჩემს ლანდს ირგვლივ**
**მზის ჩხორიად (სხივად) ეფინები.**

**რით დამათვრე, რომ მიყვარხარ**
**ჩემი მზე და მთვარე რომ ხარ.**
**ზღვა ცრემლები რომ დავღვარო,**
**მაინც ვერ გა-მოგიტირებ,**

**მაგრამ ვინ გა-მაგებინებს**
**თუ რა გიდევს გულქვა გულში.**
**ტყის მჭრელს სულაც არ აწუხებს –**
**ხის ცრემლები – ნაფოტები.**

**სანამ მატარ-მაწრიალებ**
**უშვილძიროვ, დუნიაზე,**
**ახლა როდის – ამოაფრენ**
**სუნთქვაშეკრულს ჩემს სულს მერცხლად?!**

# კოლხეთის მისტერია

ყოველივე ამასთან ერთად უნდა ითქვას, რომ იგივე **"ლაზარეს სიკვდილის"** ოთხი ათასწლოვანი ისტორიის პერიოდში ამ მსოფლიო **"გამგებლის"** გვერდით ყოველთვის არსებობდნენ ჭეშმარიტი **"ხელდასხმულები"** მცირე ჯგუფების ან ინდივიდების სახით, რომელნიც იგავური მეცნიერებით, ალეგორიული ცოდნის ხატ-სახეებით, იგავ-არაკული სიბრძნით ტაბუდადებულ და დაბეჭდილ დონეზე ატარებდნენ დაკეტილი ცოდნის ბეჭდებს. ამით იმის თქმაც შეიძლება, რომ თვით ისინიც კი ამ ოთხიათასწლოვან პერიოდში არ ფლობდნენ იმ იგავების და ალეგორიული სახეების ჭეშმარიტ, რეალურ შინაარსს, ანუ ისინი მხოლოდ ბეჭედდასმული დოგმატების მფლობელები იყვნენ. თუმცა, არც ისაა გამორიცხული, რომ ერთეული ინდივიდები ფლობდნენ კიდეც იმ ჭეშმარიტ ცოდნას, მაგრამ დრო არ იყო მისი გაცხადებისა, ანუ არ იყო დრო **"ლაზარეს აღდგინებისა"**. ამგვარადვე უნდა შევხედოთ თვით რელიგიურ დოგმატურ მეცნიერებასაც, რასაც დოგმატების და სჯულის კანონების სახით ფლობს ქრისტეანული რელიგია. დოგმაში დაბეჭდილი საიდუმლოებანი თაობებში გადადიოდა ეკლესიის სახელისუფლებო ისტორიაში და მისი ჭეშმარიტი შინაარსი ისტორიული წარსულის მივიწყებაში დაიკარგა. დღეს კი მხოლოდ ამ **"მკვდარი"**, ანუ **"მიძინებული"** დოგმატური კანონიკის წინაშე აღმოჩნდა ჩვენი თაობა და იმ დაფარული ცოდნისა და ღვთის სამყაროსეული საიდუმლოებათა შესახებ აღარაფერი ვიცით.

ჩვენ ზემოთ ვახსენეთ **"ვარდისა და ჯვრის"** საძმო. მათი სიმბოლოებია ჯვარი და მეწამული ვარდი. ჯვარი ყველასთვის ცნობილია, როგორც სამყაროს შექმნის სიმბოლო. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ **"ვარდისა და ჯვრის"** საძმოს სულისმეცნიერული მოძღვრება შესაქმისეულ იგავებს და საიდუმლოებებს ეხება. მაგრამ რადგან იგი **"ლაზარეს სიკვდილის"** პერიოდში მოქმედებს, მაშასადამე, ეს საიდუმლოებანი კვლავ ამოუხსნელი რჩებოდა. ემბლემითა და სიმბოლიკით კი არასრულყოფილების და ამოუხსნელობის ბეჭედი აზის. მათი მთავარი ლეგენდა-იგავიც კი იგავურ ფორმაში ისე ნართაულია, რომ მისი სწორი ახსნა ქართული **"ლაზარეს"** გარეშე შეუძლებელია. მათი ერთ-ერთი სიმბოლო მეწამული ვარდია. ეს საიდუმლოება უკვე ჯვრიდან გადმოსული ღმერთია და **"მის ირგვლივ სიხარულის მომნიჭებელი მეწამული ვარდები ბრდღვიალებენ"**... – აღნიშნავს ვარდისა და ჯვრის საიდუმლოს შესახებ თავის წიგნში რუდოლფ შტაინერი. მაშასადამე, ჯვრისა და მეწამული ვარდის სიმბოლიკაში შეფარული შესაქმისეული ლეგენდა-იგავი თვით შტაინერის მოღვაწეობის პერიოდშიც კი კვლავ ტაბუდადებული და ამოუხსნელი დარჩა, იმიტომ, რომ კვლავ **"ლაზარეს სიკვდილის"** პერიოდი იდგა.

ახლა გავიხსენოთ ერთ-ერთი პარალელი ბიბლიური **"ლაზარეს სიკვდილისა"** და კოლხეთიდან (საქართველოდან) **"ოქროს საწმისის"** გატაცებისა. **"ოქროს საწმისის"** გატაცებით, ანუ ტაბუდადებული ლეგენდა-მისტერიებით დაიძინა საქართველოს კოსმოგონიური მისიის შინაარსმა. მთელს დედამიწაზე განევრცო, სხვადასხვა ხალხების მითოს-ლეგენდებში და უძველეს მისტერიებში აირეკლა მსოფლიო მისტერიების კერისა და მისტერიების სამშობლოს – კოლხეთი-საქართველოს მიწა-წყლის კოსმოგონიური შინაარსი, ანუ მისი შესაქმისეული მნიშვნელობა. მისი კონკრეტული და რეალური მისამართი კი დავიწყებას მიეცა. მრავალი ისტორიულ-მეცნიერული წყარო და თეოლოგიურ-ფილოსოფიური მოღვაწეები ადასტურებენ იმ ფაქტს, რომ უძველეს წარსულში შავიზღვისპირეთში არსებობდა და მოქმედებდა კოლხეთის მისტერიის ცენტრი, ანუ ყველა მისტერიებისა და ლეგენდა-თქმულებების დედა, რომლის შინაარსობრივი სიღრმეები სიმბოლოებში და ბეჭდებში აისახა და მსოფლიო ხალხებს გადაეცა **"ოქროს საწმისის"** სახით იგავ-მეცნიერული ტაბუდადებული ბეჭდით დაბეჭდილი. თვით კოლხეთის მისტერიის ემბლემა, ანუ სიმბოლიკა კი თავის კომბინაციურ-კომპლექსურ ხატ-სახებაში ასახული, დაიფარა, დაიშალა და სხვადასხვა ნაწილებად გადაეცა კაცობრიობას. ამით იმის თქმა გვსურს, რომ უძველესი სიმბოლოები, ხატ-სახეები, სიმბოლიკის ცალკეული ნაწილები დაშლილად, დანაწილებულად იქნა გატანილი სხვადასხვა ხალხის მისტერიულ ცოდნაში, რითაც იგებოდა კიდევ სხვადასხვა **"საძმოების", "ორდენების", "ხელდასხმულების"** კონფიგურაციული სიმბოლოები, ზოგან ცრუ და ზოგან კი არასრული, არაზუსტი სახით მისი ტაბუდადებულობის გამო.

**ეკა ჯაფოშვილი**

**(გაგრძელება შემდეგ ნომერში)**

# სამართალი და სამართლიანობა მარტვილურად

***ცენტრალური ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირთა თავხედობა, უზნეობა, განუკითხაობა, ძალადობა, კონსტიტუციისა და კანონმდებლობის არცოდნა და ხელყოფა, "კარგი" მაგალითი გამოდგა ზოგიერთი რაიონის მესვეურთათვის, რაშიც დარწმუნდებით, როცა ამ წერილს წაიკითხავთ.***

კოლხეთის ერთ-ერთი ულამაზესი კუთხეა მარტვილის რაიონი, სადაც მოღვაწეობდა გიორგი ჭყონდიდელი. კუთხე, რომელმაც ქრისტიანულ სამყაროს მისცა პიროვნება – **ამბროსი ხელაია,** რომელმაც ასე მიმართა მტერს: **„ჩემი სული ღმერთს ეკუთვნის, გული სამშობლს, ხოლო მძორი თქვენთვის მომიგდია, მტარვალებო“**.

მარტვილი ლავრენტი ბერიას, ძმები საშა და ევგენი გეგეჭკორების, ოთარ თაქთაქიშვილის, ვერიკო ანჯაფარძის, აკაკი გაწარელიას, სერგი ქაჯაიას სამშობლოა. რაიონის შემოსავალი 20 წლის წინათ, მინიმუმი 50 მილიონი დოლარი იყო. მას ასე თუ ისე, საკმაოდ ძლიერი ეკონომიკა ჰქონდა, სამართლის პოვნაც შეიძლებოდა. სახელმწიფო თუ დიდად არ ეხმარებოდა ეკლესიას, არც ებრძოდა.

დღეს ეს რაიონი გამგებელ მამუკა დანელიას ანაბარაა მიგდებული, რომელმაც მარტვილის რაიონში შექმნა კლანური მმართველობა. ეს კი, როგორც მოგეხსენებათ, არის ყველა მმართველობაზე ცუდი, ბინძური, რაც კი საზოგადოებას შეუქმნია. ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელია:

საზოგადოების მობრუნება სარწმუნეობისაკენ;

2. მეტნაკლებად სამართლიანი გარემოს შექმნა;

3. ეკონომიკის განვითარება.

ამ ჩამონათვალში რიგითობა არ არსებობს. ყველა პირველია, რომლის ნიშნები რაიონში იყო. დღეს, ეს ყველაფერი, უკვალოდაა გამქრალი, რაშიც ლომის წილი რაიონის გამგებელს მიუძღვის.

დავით აღმაშენებელს ვერავინ დასწამებს კაცთმოძულებას. იმდენად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს კიდეც ძლიერი ქვეყნის მშენებლობისათვის რწმენას და სარწმუნოებას, რომ მეფემ თავისი მოღვაწეობა საეკლესიო რეფორმით დაიწყო. რამაც მეფეს ცხოვრების ბოლოს დააწერინა ყველა ხელისუფლებისათვის სამაგიდო წიგნი **„გალობანი სინანულისანი“**. დღეს ქვეყანა დგას ისეთი გამოწვევების წინაშე, რომ აუცილებელია საეკლესიო რეფორმა.

ერთხელ თავად ავაზაკმა ედუარდ შევარდნაძემ ერთ-ერთ სამთავრობო სხდომაზე განაცხადა: **„თუ ვინმე ავაზაკი, თაღლითი, კაცის მკვლელია ამქვეყნად, ყველამ ეკლესიას შეაფარა თავი“** და დაავალა უშიშროების მინისტრს - ჩაეხედა ეკლესიის საქმიანობაში.

მამუკა გამგებელმა და ანაფორას ამოფარებულმა მღვდელმა სერაფიმემ, დანელიების ძალისხმევით, ამბროსი ხელაიას სამშობლოში საპატრიარქოს მიერ საპარლამენტო არჩევნებში წარმოდგენილმა პარტიამ, ხუთპროცენტიანი ბარიერის გადალახვას ვინ ჩივის, ხმა საერთოდ ვერ მიიღო, რაც ჩვენს რაიონში კლანური მმართველობის **„ბრწყინვალე“** გამარჯვება იყო. საინტერესოა, თუ რაიონის ხელმძღვანელობა თარგამაძის პარტიის ლობისტი იყო, ვინ დაუშალა ანდრიაძის პარტიის ლობისტობა. ეს იყო შედეგი იმისა, რომ ეკლესიას არ აღმოაჩნდა სურვილი და საშუალება ზოგიერთი ავაზაკის მოსასყიდად.

საქართველოში მიწის რეფორმა დაიწყო 1992 წელს და დასრულდა 1998 წელს. სოფელ სალხინოში ეს პროცესი 1995 წელს დასრულდა, რითაც სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა გაიცა მოსახლეობაზე კერძო საკუთრებაში. 1997 წელს სერაფიმ დანელიამ შეადგინა ყალბი სოფლის ყრილობის ოქმი, რითაც, ვითომ სოფელი ითხოვდა დადიან-მიურატისეული კარმიდამოს 6,5 ჰა ფართობს, რომელშიც 3 ჰექტარამდე სასოფლო-სამეურნეო სავარგული კერძო საკუთრებაში იყო გაცემული. ოქმის მიხედვით, ჩანს, თითქოს მიწის მესაკუთრეებმა ითხოვეს, რომ მათთვის ჩამოერთმიათ მათ საკუთრებაში არსებული ერთადერთი მარჩენალი მიწა და გადაეცა ეკლესიისათვის. რა დონის თაღლითი უნდა იყოს ადამიანი, ეს აზრი რომ დაუტრიალდეს თავში. თუ ასეთი ზნედაცემული თაღლითი ხარ, რა გინდა ეკლესიაში და რატომ ასაღებ თავს ღვთის მსახურად. 6,5 ჰექტარში შედიოდა აგრეთვე 1,53 ჰექტარი ფართობის სალხინოს ბაღი, რომელიც ისტორიულ ძეგლთა ნუსხაშია შეტანილი;

0,7 ჰექტარი ფართობის გზა ერთადერთია სალხინოს მნიშვნელოვანი ნაწილის წისქვილთან და სასაფლაოსთან მისასვლელად, ასევე ლეხულორდავეს უბნის მოსახლეობის სამიმოსვლო გზა სოფლის ცენტრალურ უბანთან.

კერძო საკუთრების ხელშეუხებლობას იცავს **„ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია. პირველი დამატებითი ოქმი. მუხლი 1 საკუთრების უფლება“**. ზემოხსენებულ კონვენციაზე მიერთებულია საქართველოს რესპუბლიკა და მისთვის სავალდებულოა ზემოხსენებული ოქმის მოთხოვნათა შესრულება.

ისტორიულ ძეგლთა ნუსხაში შესული ბაღისა და გზის გასხვისებაც ჩვენი კანონმდებლობა სასტიკად კრძალავს.

ეს რომ გაიგო მოსახლეობამ, 1998 წელს ჩაატარა ყრილობა და გაუქმა 1997 წელს არჩატარებული ყრილობის გადაწყვეტილება. მიუხედავად ამისა, სერაფიმემ რაღაც გზებით მაინც მიაღწია მიზანს. 1999 წელს სახელმწიფო მინისტრის ხელმოწერით გამოდის გადაწყვეტილება ამ ნაკვეთის 6,5 ჰექტარი მიწის ეკლესიაზე გადაცემის შესახებ. საკითხავია – ეს დადგენილება სწორია თუ არა. სახელმიფო მინისტრის კომპეტენციაში არ შედის სხვისი ქონების, ბაღის და გზის განკარგვა. აქ ადგილი აქვს ხელისუფლების გადამეტებას, რაც დასჯადია.

სერაფიმ დანელია ვერ აჩენს მთავრობის ზემოხსენებულ დადგენილებას და სასურველ დროს ელოდება.

2007 წლის ივნისში მიურატებმა მთხოვეს სარდაფში ქორწილის ჩაატარება, რაზედაც, რა თქმა უნდა, დავთანხმდი, მარტვილის მაღალჩინოსნების ნების საწინააღმდეგოდ. 25 ივნისს ჩატარდა ქორწილი. იყვნენ სტუმრები საფრანგეთიდან, გერმანიიდან, თბილისიდან, ზუგდიდიდან. 25 ივნისს სერაფიმ დანელიას შეაქვს სარჩელი სასამართლოში შვიდი მოსახლისათვის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის ჩამორთმევისა და დადიანების კარმიდამოს ეკლესისათვის გადასაცემად და აღნიშნავს, რომ სარჩელი სასამართლოში შეაქვს ფიზიკურ პირს. სასამართლო სარჩელის მიღებაზე უარს აცხადებს ხანდაზმულობის და ბაჟის გადაუხდელობის გამო, მაგრამ გამგებელ მამუკა დანელიას ზეწოლით, სარჩელი მიღებულ იქნა წარმოებაში.

კანონმდებლობით გათვალისწინებული ორთვიანი ვადის ნაცვლად, სასამართლო პროცესი გაგარძელდა 13 თვე, ვიდრე მესაკუთრეები არ აიძულეს და ხელი არ მოაწერინეს ერთადერთი მარჩენალი მიწის დათმობაზე.

ბოლო სასამართლო სხდომაზე სერაფიმმა მოსამართლის თანდასწრებით მითხრა, რომ ყველამ იცოდა, მიწა ნაყიდი მაქვს და ჩემია, მაგრამ მათთვის უნდა გადამეცა.

ამის გაგონებაზე მოსამართლეს ნერვებმა უმტყუნა და გამოაცხადა განჩინება.

1. მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგეობა ცნობს სარჩელს და მოითხოვს მის დაკმაყოფილებას;

პიროვნების კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის ჩამორთმევას და ეკლესიაზე გადაცემას;

ჯიქიას, როგორც კეთილსინდისიერ მყიდველს, დარჩეს თავის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი.

იმ დროს, როცა მარტვილის რაიონის გამგეობა არც მოწმედ და არც მოპასუხედ არ არის მოწვეული, რა უფლებით ითხოვდა მამუკა დანელია ჩემი კუთვნილი ქონების ჩამორთმევას და სხვაზე გადაცემას.

როგორ წარმოგიდგენიათ, ამ გაჭირვების ჟამს, ვინმე ჭკუათმყოფელი ერთადერთ ოჯახის მარჩენალ მიწას ვინმეს აჩუქებს? ეს იმათ სინდისზე იყოს, ვინც ეს ასე მოაწყო. საკვირველი ისაა, რომ მღვდლადწოდებულმა სერაფიმ დანელიამ სასამართლოს გადაწყვეტილება შეურაცხყოფად მიიღო და სარჩელი შეიტანა ქუთაისის საოლქო სასამართლოში. საქმე განსახილველად გადაეცა ვინმე მოსამართლე ფრიდონ ბასილაიას. მოხდა უპრეცედენტო რამ. ბატონ ფრიდონთან საქმე ვერ **„ჩააწყვეს“** ამ თაღლითებმა და მოსამართლეს აცილება მისცეს სასამართლო პროცესის დაწყებამდე (ასეთი რამ სასამართლო პრაქტიკაში არ მომხდარა) და საქმე გადაეცა ვინმე დურმიშხან ჟორჟოლიანს, რომელმაც სასამართლოს სხდომა 5 წუთში დაამთავრა. მან გააუქმა მარტვილის რაიონული სასამართლოს განჩინება, ჩამომართვა მიწა და გადასცა დანელიას ზურგს უკან მდგომ პიროვნებებს. ასეთ თაღლითობას არავინ ჩადის ანგარების გარეშე. ეს იყო ტიპიური ზნედაცემული, თაღლითი მოსამართლის სახე. ჩვენდასაუბედუროდ, ასეთი მოსამართლეები არც თუ ცოტაა მოკალათებული სასამართლოს სისტემაში.

შემდგომ ამისა, საკასაციო საჩივარი შემაქვს უზენაეს სასამართლოში, საიდანაც ვდებულობ არაადექვატურ პასუხს **„რადგან უზენაესი სასამართლოს პრაქტიკისათვის საინტერესო არ არის აღნიშნული საქმე, არ განვიხილავთ“.**

ამის შემდეგ, მივმართე გამგებელს განცხადებით, რომ წართმეული მიწის სანაცვლოდ, მოეცათ იგივე ფართის მიწის ნაკვეთი სხვაგან, რაზედაც პასუხის გაცემაც არ იკადრა. შემდეგ ვხვდები სერაფიმ დანელიას და ვეუბნები – მიწა რომ ძალით წამართვი, ჯანდაბას შენი თავი, ეზოს გარეთ იყიდება მიმდებარე ტერიტორია და სანაცვლოდ მოეცა იმდენივე ფართის მიწა, რამდენიც წამართვეს. ამაზეც ცივი უარი მივიღე. მაშინ შევპირდი სერაფიმს, თუ ჩემს წინადადებას არ მიიღებდა, გავკრეჭდი. ამას ნამდვილად შევუსრულებ.

უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება გასაჩივრებულ იქნა ევროსასამართლოში, მიენიჭა პრიორიტეტი და საქმე მიიღო წარმოებაში.

დანელიებს და მისნაირებს ეს ქვეყანა საკუთარ მარანში ჩამოკიდებული ცხვრის დუმა ჰგონიათ – ჩამოათალე და ჭამე რამდენიც გაგიხარდეს. ევროსასამარლოს მიერ დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, დადგენილი ქონებრივი და მორალური ზარალის ანაზღაურებას ბიუჯეტიდან მე არ მივიღებ. ეს საზღაური უნდა ამოვიღო და ამოვიღებ კიდეც მამუკა და სერაფიმე დანელიებისა და დურმიშხან ჟორჟოლიანის ჯიბიდან! თუ ეს კანონიერი გზით ვერ მოვახერხე, შემწევს იმის უნარი, რომ ძალის გამოყენებით ავუსრულო ამ თაღლითებს ჩემი კანონიერი დანაპირები.

სამწუხაროდ, დღეს, მარტვილის სინამდვილეში მართლმსაჯულება არ არსებობს. იგი მთლიანად მონოპოლიზებულია გამგებლის მიერ. რასაც გამგებელი იტყვის, თუთიყუშივით იმას იმეორებს მოსამართლე და გამგებელის უკანონო ნება-სურვილს აძლევს კანონის სახეს და ამგვარ განაჩენს უტიფრად აცხადებს საქართველოს სახელით.

2006 წლის 2 მაისს, მივმართე მარტვილის რაიონულ სასამართლოს სარჩელით, სადაც მივუთითე, რომ 2001 წლიდან ვარ სოფელ სალხინოში ჩემზე რეგისტრირებული არსებული მარნის მესაკუთრე, ხოლო 442 კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთი, რაზედაც მარანი დგას, არის სახელმწიფო საკუთრებაში და ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოვითხოვდი აღნიშნული მიწის დაკანონებას.

რამდენადაც ჩემთვის სარწმუნო წყაროდანაა ცნობილი, გამგებელმა გასცა სიტყვიერი განკარგულება, რომ ჩემი სარჩელი არ დაეკმაყოფილებნათ. შედეგმაც არ დააყოვნა. მოსამართლისგან მივიღე განჩინება ხარვეზის შევსების შესახებ და მიუთითებს ბაჟის გადაუხდელობაზე. გადავიხადე ბაჟი მეორედ. ქვითარი ჩავაბარე სასამართლოს. მოსამართლე ვერ მიდის გამგებლის ნების წინააღმდეგ და გამოაქვს განჩინება სარჩელის უმოძრაოდ დატოვების შესახებ.

სარჩელის შეტანიდან სამი წლის მიწურულს, მივმართე სასამართლოს განცხადებით, სადაც დავინტერესდი, რატომ არ მოხდა ჩემი სარჩელის განხილვა. მოსამართლემ სასწრაფოდ დანიშნა სასამართლო პროცესი, რაზედაც წერილობით განვაცხადე, რომ მე ვერ ვხედავდი სარჩელის განხილვის იურიდიულ საფუძველს, რადგან სარჩელის განხილვის ორთვიანი ვადა უკვე გასული იყო. სარჩელის განხილვის სურვილი რომ ჰქონოდათ, მას მანამდე განიხილავდნენ და არა 32 თვის შემდეგ. ამიტომ მოვითხოვე აღნიშნული საქმე აეცილებინათ მარტვილის რაიონის სასამართლოსათვის.

განცხადების შეტანის დღესვე, სასამართლომ გამოიტანა განჩინება სარჩელის არგანხლვის შესახებ. მიზეზად დაასახელეს, რომ სერაფიმ დანელიას სარჩელის განხილვამდე და საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, ჩემი სარჩელი არ განიხილებოდა. როგორც განჩინებდან ჩანს, მოსამართლე მწყრალად არის მართლმსაჯულებასთან. მე, როგორც პიროვნებას მაყენებს შეურაცხყოფას და მაყრის თვალებში ნაცარს. მე სარჩელი შევიტანე 2006 წლის 2 მაისს კანონმდებლობის სრული დაცვით. მოსამართლე რომ კანონმორჩილი ყოფილიყო, არ დაარღვევდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლს, სადაც აღნიშნულია, რომ საქმეებს სასამართლო განიხილავს განცხადების მიღების დღიდან, არაუგვიანეს, 2 თვისა. რა შუაშია აქ სერაფიმ დანელიას 2006 წლის 24 ივნისის სარჩელი. მოსამართლის ნამოქმედარის ანალიზი იძლევა საშუალებას, ვივარაუდოთ, რომ ჩემი სარჩელის შეტანის შემდეგ, ის შეხვდა დადიანების ეზოთი დაინტერესებულ პირებს და შეპირდა დახმარებას. შემოიტანეს სერაფიმ დანელიას სარჩელი, ხოლო ჩემი სარჩელი სადღაც თაროზე ჩამოდეს.

მოსამართლევ! თქვენ თავი დააყენეთ კანონზე მაღლა, გადააბიჯეთ ყოველგვარ ზღვარს, პრეზიდენტის უფლებებსაც კი, გაასხვისეთ ისტორიული ძეგლი - სალხინოს ბაღი და გზა, რის გასხვისებასაც კრძალავს კანონმდებლობა. ასეთ საქმეებს სჩადიან მაღალპროფესიონალი თაღლითები ანგარების მიზნით.

ყოველივე ზემოქმული სამართალდამცავი ორგანოების კვლევისა და ძიების საქმეა. მივაპყრობ მარტვილის პოლიციის უფროსის, ბატონ ჯ. სურმავას და პროკურორის – ინეზა წოწონავას ყურადღებას, აღძრას სისხლის სამართლის საქმე მარტვილის მოსამართლეზე, გამგებელსა და მღვდელ სერაფიმზე სისხლის სამართლის კოდექსის 1532[1], 362 მუხლით. საჭიროების შემთხვევაში, დამატებით ინფორმაციას მივაწვდი სამართალდამცავ ორგანოებს.

**ოთარ ჯიქია,**
**ეკონომიკის დოქტორი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ზურაბ კვარაცხელია: ეროვნული მოძრაობა ნამდვილად იყო ანტიიმპერიული, მაგრამ არავითარ შემთხვევაში – ანტირუსული“

**საქართველო-რუსეთის ურთიერთობის შესახებ აშკარად საკუთარი აზრის გამოხატვას ბევრი ერიდება, რადგან არ სურთ ე.წ. მოღალატის იარლიყის მიკერება, თანაც არც სამართალდამცველები გამოირჩევიან ლოიალობით მათ მიმართ. ამ თემაზე ხმის ამიღებას განსაკუთრებით რეგიონებში ვერ ბედავს მოსახლეობა. მიუხედავად ამისა, აფხაზეთიდან დევნილი, ამჟამად ზუგდიდში მცხოვრები ზურაბ კვარაცხელია, რომელიც ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი აქტიური წარმომადგენელია (სოხუმ-აფხაზეთის „ჰელსინკის კავშირის“, ცენტრალური „მრგვალი მაგიდის“ ინდივიდუალური და საქართველოს „ეროვნული დაუმორჩილებლობის“ კომიტეტის წევრი), არ მოერიდა აზრის ღიად და აშკარად გამოხატვას: „ის პოლიტიკა, რომელსაც ახორციელებს ჯერ ე. შევარდნაძის, ხოლო შემდგომ მ. სააკაშვილის პოლიტიკური ხროვა, სხვა არაფერია, თუ არა ჩვენი სამშობლოს უდიდესი უბედურება და ტრაგედია. ცნობილმა პოლიტოლოგმა და საზოგადო მოღვაწემ, ბატონმა ალექსანდრე ჭაჭიამ ჯერ კიდევ ე. შევარდნაძის რეჟიმის დროს სამართლიანად უწოდა ამგვარ პოლიტიკას „ხუთი დ-ს“ პოლიტიკა: დენაციონალიზაცია, დესტრუქცია, დეინდუსტიალიზაცია, დეზინტეგრაცია, დეგრადაცია. ვფიქრობ, დღეს არც ერთ ჭკუათმყოფელს არ უნდა ეპარებოდეს ეჭვი ჭაჭიასეული დიაგნოზის მართებულობაში და არც იმაში, რომ მ. სააკაშვილის მმართველობის პერიოდში ამ მხრივ მდგომარეობა არათუ გამოსწორდა, პირიქით, – გაუარესდა“.**

***– ბატონო ზურაბ, რას იტყვით საქართველო-რუსეთის ურთიერთობის შესახებ?***

– ამ თემაზე საუბარს ბევრი გაურბის. ნურავის ექნება იმის ილუზია, რომ დასავლური სამყარო დაინტერესებულია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენით. ჩვენს ბედკრულ სამშობლოს ემუქრება სამხედრო პლაცდარმად და საერთაშორისო კონფლიქტებში პოლიგონად გადაქცევის პერსპექტივა. **სწორედ დასავლეთის სურვილით ასრულებს საქართველო „მახათის“ ფუნქციას, რომლის მეშვეობითაც პერმანენტულად აღიზიანებს „ჩრდილოელ დათვს“, რამაც ჩვენ უკვე მოგვიტანა სავალალო შედეგები.** კარგად უნდა გავაცნობიეროთ, რომ რუსეთი არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებს მის გარშემო მტრული რკალის შექმნას; არ დაუშვებს, ნატოს ალყაში მოექცეს. ამაზე აშკარად მიუთითებს უკრაინაში განვითარებული მოვლენებიც. უფრო ადრე კი სწორედ ამის გამო დასჭირდა მას აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის სახელმწიფოებრივად დამოუკიდებლობის აღიარებაც.

***პუტინ-მედვედევის რუსეთი აღარაა ელცინისდროინდელი რუსეთი და არც მსოფლიოა დღეს ერთპოლუსიანი. რუსეთმა თითქმის დაიბრუნა ზესახელმწიფოს სტატუსი და მას, ბუნებრივია, აქვს კიდეც გეოსტრატეგიული ინტერესები კავკასიაში. ჩვენ რაც უფრო მალე მივხვდებით ამას, მით უკეთესი იქნება ჩვენთვის, არადა, ჩვენი საზოგადოების არცთუ უმნიშვნელო ნაწილი დღემდე რაღაც ილუზიების ტყვეობაშია.***

ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ რუსულ-ქართული ურთიერთობის მოგვარება, უწინარესად, ჩვენთვისაა სასიკეთო და მომგებიანი. იმაშიც ვარ დარწმუნებული, რომ ეს ხელს არ აძლევს ვიღაც მესამეს. ***რუსულ-ქართული ურთიერთობის მოგვარება თუნდაც იმიტომ არის აუცილებელი, რომ ობიექტურად ამ ორი მართლმადიდებლური მეზობელი სახელმწიფოს გეოპოლიტიკური და გეოსტრატეგიული ინტერესები შეუძლებელია პოლარიზებული იყოს ერთმანეთისაგან.***

**– ბატონო ზურაბ, თქვენ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აქტიური წევრი იყავით და ამ მოძრაობას ზვიად გამსახურდიას ხელმძღვანელობით ადანაშაულებდნენ რუსოფობიაში. თქვენ კი პირიქით, – რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობის მომხრე ბრძანდებით.**

– საქმეც იმაშია, რომ ზოგი მოვლენათა არსში ჩაუხედავი ადამიანი ეროვნულ მოძრაობას, მართლაც, ადანაშაულებს რუსოფობიაში. მტკნარი სიცრუეა, რომ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ზვიად გამსახურდიას ხელმძღვანელობით თავის დროზე გამოირჩეოდა ანტირუსული განწყობით. არა, ბატონებო, ეროვნული მოძრაობა ნამდვილად იყო ანტიიმპერიული, მაგრამ არავითარ შემთხვევაში – ანტირუსული. ამ აზრის გასამყარებლად მოვიტან ამონარიდს ბატონი ზვიადის გახმაურებული ინტერვიუდან, რომელიც მან მისცა სანკტ-პეტერბურგის გაზეთ „ნაროდნაია პრავდას“:

***„ჩემთვის არ არის უცხო პრორუსული განწყობა, მე მუდამ მივესწრაფვოდი მჭიდრო კავშირს რუსეთთან და ვოცნებობდი, საქართველოს ჰყოლოდა ბუნებრივი მოკავშირე ამ თავისი დიდი მეზობლის სახით, მაგრამ ეს არ აძლევდა ხელს დასავლურ სამყაროს და მის მორჩილ ხელისუფლებას რუსეთისა.“***

აი, ეს არის სინამდვილე. მავანნი კი ცდილობენ, გააყალბონ იგი. ჩვენ არ უნდა ვიჟოთ სხვა ერის მიმართ მტრულად განწყობილი, მაგრამ ანტიიმპერიული განწყობა კი უნდა გვქონდეს.

**– ბატონო ზურაბ, დღეს ზვიად გამსახურდიას ბევრი თანამებრძოლი ხელისუფლებაშია, ამაზე რას იტყვით?**

– „მიშას ზვიადისტებიდან“ ბევრს კარგად ვიცნობ. ზოგიერთთან მაქვს საკმაოდ ახლო ურთიერთობაც და უპრიანია, პირდაპირ მათ მივმართო. ***ჩემო ძვირფასო „მიშას ზვიადისტებო“! თუ თქვენ გგონიათ, რომ ბატონი ზვიად გამსახურდია იმისათვის იღწვოდა, რის მიღწევასაც ეს თქვენი მიწაზე მფორთხავი და ჰალსტუხჭამია სამარცხვინო პრეზიდენტი ცდილობს თავის შპანასთან ერთად, მწარედ ცდებით. ან შეიძლება, არც ცდებით და მიზანმიმართულად იღებთ მონაწილეობას ქვეყნის დაქცევასა და განადგურებაში. და თუ ეს მართალია, მოგიწოდებთ,– ზვიად გამსახურდიას შეეშვათ. ბატონი ზვიადის უდიდესი სურვილი იყო ჩვენი სამშობლო ეროვნული, ტრადიციული, მართლმადიდებლურ ფასეულობებზე დაფუძნებული, ეკონომიკურად ძლიერი, ერთიანი სახელმწიფო ყოფილიყო. მიშას ფიქრები და მიზნები კი ამისგან ისე განსხვავდება, როგორც ბნელი და უკუნი – ნათელისაგან.***

ლადო ქირია

# ხელისუფლება 500 ათას ადამიანს უსახლკაროდ ტოვებს

## ბანკის მევალეებს ვალის დასაფარად 7-დღიანი ვადა მიეცემათ

ქართული ეკონომიკის ლიბერალიზაციაზე, ხელისუფლების მხრიდან ხელშეწყობასა და საზოგადების საკუთრების დაცვაზე საუბარი მაშინ დასრულდა, როდესაც აღსრულების ეროვნულმა ბიურომ მიიღო კანონი, რომლის თანახმადაც ბანკის მევალის ქონებას 7 დღეში გაყიდის, უკანასკნელ 10 წელიწადში შეძენილ ქონებას კი დააყადაღებს.

ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, რომელთა ვალის არსებობას სასამართლო დაადასტურებს, ვალის დასაფარად 7 დღე მიეცემათ, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ ქონებას ბანკი დააყადაღებს. დაყადაღებული ქონება აუქციონზე გაიყიდება, დავალიანების მქონე პირს კი მხოლოდ 4 კვირის სამყოფ საკვებ, საწვავ და სანათ საშუალებებს დაუტოვებენ. აღსრულების ბიუროს ინიციატივით თბილისში მევალეთა რეესტრიც შეიქმნა, რომელშიც ის პირები შეჰყავთ, ვისაც კრედიტორის მიმართ დავალიანება აქვს და აღმასრულებლის მიერ მიცემული გაფრთხილების მიუხედავად მის დაფარვას ვერ ახერხებს.

2007 წლის აგვისტოს ომის შემდეგ ბანკებმა აქტიურად დაიწყეს საუბარი იმასთან დაკავშირებით, რომ აპირებდნენ კლიენტთა სესხის რესტრუქტურიზაციას, თუმცა აღმოჩნდა, რომ რესტრუქტურიზაციის გეგმა ბანკების მორიგი „ბლეფი“ იყო.

„საქართველო და მსოფლიო“ შეეცადა ბანკების ხელმძღვანელების მხრიდან მოესმინა არგუმენტები კანონის შესახებ, რომელიც ბანკის მევალის 7 დღეში უსახლკაროდ დატოვებას ითვალისწინებს.

ჩვენ დავუკავშირდით ბანკების საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურების ხელმძღვანელებს, თუმცა უმრავლესობამ კომენტარის გაკეთება არ ისურვა.

„თიბისი ბანკის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელმა მაიკო ძირკველიშვილმა ამის მიზეზად მისი სამსახურში არ ყოფნა დაასახელა; სოფიო ბალავაძე კი, რომელსაც „საქართველოს ბანკში“ საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობა ევალება, დაგვპირდა, პასუხს ელექტრონული ფოსტით მოგაწოდებთო, თუმცა, სამდღიანი ლოდინის მიუხედავად, კომენტარი ვერც ირაკლი გილაურის ბანკისგან მივიღეთ. „ბაზისბანკის“ პიარ მენეჯერის თამუნა ხადურის თქმით, ეს კანონი ქართული საბანკო ეკონომიკის რეალობის ადეკვატურია და მასში პრობლემური არაფერია. მისი თქმით, კლიენტისთვის 7-დღიანი ვადის მიცემა მისი მრავალგზის გაფრთხილების შემდეგ ხდება, „ჩვენ ვაკეთებთ სესხის რესტრუქტურიზაციას კლიენტებისთვის, თუკი ბანკის მევალე წამოვა მოლაპარაკებაზე, რა თქმა უნდა, ჩვენ მასთან ვითანამშრომლებთ“.

– ეს კანონი ხომ თავისთავად გამორიცხავს სესხის რესტრუქტურიზაციას, რომელიც 7 დღის ვადაში პიროვნების პირად საკუთრებაში არსებული ქონების ჩამორთმევას ითვალისწინებს?

– ეს მეთოდი ყველა ცივილიზებულ სახელმწიფოში აპრობირებულია, ამიტომ ამ კანონში პრობლემური არაფერია.

– თუმცა ცივილიზებულ ქვეყნებში სრული მოსახლეობის 1/4 არ არის ბანკის მევალე...

– ეს ციფრი დიდია, მაგრამ კლიენტებს მიეცემათ საშეღავათო პერიოდი და მისი სესხის რესტრუქტურიზაციაზეც არ ამბობს ბანკი უარს.

ბანკის წარმომადგენლებს უჭირთ კანონთან დაკავშირებით ისეთი არგუმენტების დაპირისპირება, რომელიც გამოდგება აღსრულების ბიუროს მიერ მიღებული გადაწყვეტილების საპირწონედ.

მიუხედავად ბანკირების სხვადასხვა პიარ განცხადებებისა, ფაქტი ფაქტად რჩება, უახლოეს მომავალში ასეულობით ათას ადამიანს უსახლკაროდ დარჩენა ემუქრება.

ახალი კანონის შეფასება ეკონომიკის ექსპერტს გია ხუხაშვილს ვთხოვეთ. ხუხაშვილის თქმით, ეს კანონი პოლიტიკური ფორმაჟორითაა განპირობებული და ხელისუფლება ვალდებულია პასუხისმგებლობა გადაინაწილოს მეწარმეებთან ერთად.

„თუ ხელისუფლება და ბანკები ვალის ამოღების ბლიც მეთოდებს მიმართავენ, ამით მხოლოდ თავადვე დაზარალდებიან, ვინაიდან ერთიან თანხას ამოიღებენ და შემდეგ ფაქტობრივად მათი ბიზნესი და ეკონომიკური წინსვლა გაჩერდება. ამას მოყვება ეკონომიკური კრიზისისა და უმუშევრობის მეორე ტალღა“-ამბობს ხუხაშვილი.

ექსპერტის აზრით ხელისუფლება მიიღებს გარკვეულ სარგებელს ამ 7 დღიანი ვადის მისაცემად კლიენტებისთვის, მაგრამ შემდეგ რა იქნება? იქნება ის, რომ ფაქტობრივად საზოგადოების ძალიან დიდი ნაწილი ვინც ბანკებთან ურთიერთობას შეწყვეტენ მათთან თანამშრომლობას, ბანკები ფაქტობრივად კლიენტების გარეშე დარჩებიან.

**„ამგვარი პრაქტიკა ყოფილა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, მაგრამ არა ცივილიზებულსა და განვითარებულში. ბუნებრივია, რომ არანორმალურ ქვეყანაში ყველაფერი ხდება. ეს კანონი მხოლოდ რისკებთან თამაშია და მისი წარმოშბის მიზეზები გახდება, დანარჩენი დადებითი ამ კანონს არაფერი არ აქვს. ამ გადაწყვეტილებით ხელისუფლება ფაქტობრივად 500 000 ადამიანზე მეტს უსახლკაროდ ტოვებს. “** – აცხადებს გია ხუხაშვილი.

აღსრულების ბიუროს ხელმძრვანელის მოადგილე ალექსანდრე ბარნაბიშვილი კი კანონის მოქმედების დეტალებს განმარტავს. **„თუკი კრედიტორი სასამართლოს მიმართავს და ვალის არსებობა დადასტურდება, საქმეში აღმასრულებელი ერთვება. კანონი განსაზღვრას იმ ნივთების ნუსხას და მოცულობას, რომელთა დაყადაღებაც აღმასრულებელს არ შეუძლია. თუკი აუქციონის შედეგად ვალი არ დაიფარება, დავალიანების მქონე პიროვნებას ნებისმიერ ქონებას თუ შემოსავალს ჩამოართმევენ, რაც მას მომდევნო 10 წლის განმავლობაში გაუჩნდება“.**

ექსპერტები აცხადებენ, რომ დღეს ბანკებს აქვთ ფინანსური რესურსი, რომლითაც შესაძლებელია კრედიტორების ვალის რესტურუქტურიზაციაც, თუმცა ალბათ ბანკირთა ამგვარი ნების გამო რესტრუქტურიზაცია არ ხდება.

ოპოზიციური პარტიები ირწმუნებიან, რომ აღნიშნული კანონის მიღებაში ხელისუფლების ბინძური ხელი ურევია და რომ სწორედ მმართველი გუნდის წევრები აპირებენ ამ კანონის შედეგად დაზარალებული ადამიანების ხარჯზე ხელი მოითბონ თავად ბანკის მევალეები კი ამბობენ, რომ თუკი მათ საკუთრებას ჩამოართმევენ ისინი იძულებული იქნებიან ჯერ ბანკს მოსთხოვონ პასუხი, შემდეგ კი ხელისუფლებას. ხელისუფლება კი დღეს უკრაინელი ხალხის მომავალზე **„ზრუნვითაა“** დაკავებული და საკუთარი მოქალაქეებისთვის არ სცალია.

შორენა გოგოლაძე

# აუვრაცუარა – ჩვენს სისხლისმიერ ძმობას გაუმარჯოს!

დგება ქვების შეგროვების ჟამი, იმ ქვებისა, რომლებსაც წლების განმავლობაში ერთმანეთს რისხვად ვაყრიდით თავზე ქართველები და აფხაზები. ჩვენს შორის წარმოქმნილი კონფლიქტი რომ ხელოვნურია და ორივე ხალხის მტერი პოლიტიკოსების **"დირიჟორობით"** მოხდა, დღეს უკვე აღარც აფხაზში იწვევს ეჭვს და აღარც ქართველში. როგორც იქნა, ჩვენს შეგნებამდე დავიდა, რომ ქართველებსა და აფხაზებს ვერც ამერიკელები შეგვარიგებენ და ვერც რუსები, რადგან მათ საკუთარი პრობლემებიც თავსაყრელად აქვთ – ჩვენ თავად უნდა გადავდგათ ეს ნაბიჯი, მაქსიმალურად მიმტევებლები უნდა გავხდეთ ერთმანეთის მიმართ... ერთურთს ვაპატიოთ ვნება, რაც ქართველ და აფხაზ ერს მიადგა უაზრო დაპირისპირებით გამოწვეული მძიმე შედეგების გამო. საქართველოს ევრაზიის გასაყარზე მიუჩინა ღმერთმა ადგილი და ამიტომ, იგი ხშირად აღმოჩნდებოდა ხოლმე დიდ სახელმწიფოთა შორის წარმოქმნილი კონფლიქტების ეპიცენტრში. ჩვენ ვკარგავდით ტერიტორიებს, მაგრამ გადიოდა დრო და საქართველო კვლავ იერთებდა დროებით დაკარგულ ნაწილს. შედარებით ძნელი გახლდათ იმ ადამიანების დაბრუნება, რომლებიც ასიათასობით გაჰყავდათ მოძალადეებს ფერეიდანსა თუ სტამბოლის ბაზარში. მათ დღესაც ახსოვთ, რომ შორეული წინაპრები ქართველები ჰყავდათ, მაგრამ საქართველოსათვის მაინც დაკარგულებად ითვლებიან, რაც აუნაზღაურებელი ზარალი გახლავთ ჩვენი ქვეყნისათვის... იგივე საფრთხის წინაშე დგება აფხაზეთიც – აქ ინტენსიურად მიმდინარეობს აფხაზეთის შევსება არააფხაზი მოსახლეობით – განსაკუთრებით შეინიშნება სომხების აქტიურობა, რომლებიც მასობრივად ყიდულობენ სოხუმში სახლებს და უკვე დღეს აფხაზეთში ცხოვრობს 60.000 აფხაზი, 40.000 ქართველი და 80.000 ქართველი. ასე რომ, თუ ქართველები აფხაზებს გვერდში აე ამოუდგებიან, შეიძლება აფხაზეთის პრეზიდენტად სომეხი ეროვნების პოლიტიკოსი მოგვევლინოს, ეს კი ისეთ უკუპროცესებს გამოიწვევს, რომლის აღმოფხვრას მოგვიანებით ვერც აფხაზები შესძლებენ, ვერც ქართველები და ვეღარც რუსები.

როცა ლომის დასაჭერად მისდევს ზებრას, დღის წესრიგში დგება ორი საკითხი – ლომმა თუ ზებრა ვერ დაიჭირა, უსადილოდ დარჩება, მაგრამ, თუ ზებრა ლომის კლანჭებში მოექცა, იგი სიცოცხლეს ტრაგიკულად დაასრულებს. ასეა ჩვენი საქმეც: აფხაზეთის დაკარგვით საქართველო თავისი ტერიტორიის ნაწილს ჰკარგავს, ამან კი აფხაზებს შეიძლება გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს – დააკარგვინოს ეთნიკური წარმომავლობა, რაც დამღუპველი იქნება როგორც აფხაზი, ისევე ქართველი ერისათვის. თავად განსაზღვრეთ, ვისთვის უფრო ტრაგიკული აღმოჩნდება შექმნილი მდგომარეობა, თუ დროულად არ მოვეგეთ გონს და არ გადავდგით ქმედითი ნაბიჯები. აფხაზეთის საქართველოდან ჩამოშორების მსურველთათვის ეს იქნება ორი კურდღლის დაჭერის ტოლფასი: ხელყოფენ საქართველოს ტერიტორიულ ერთიანობას და განადგურების პირამდე მიიყვანენ აფხაზურ ეთნოსს.

გაზეთი **"ილორი"** დაუკავშირდა რამდენიმე აფხაზ და ქართველ მოქალაქეს, მაგრამ მათ ვინაობას ჯერ არ ვაკონკრეტებთ გარკვეულ მოსაზრებათა გამო. თუ რამდენიმე წლის წინათ აფხაზებისა და ქართველების შერიგებაზე საუბარიც კი არ შეიძლებოდა იმ დანაკარგის სიმწვავეთა გამო, რაც ამ ორ ხალხს მიაყენა გაუაზრებელმა დაპირისპირებამ, დღეს მდგომარეობა რადიკალურად სასიკეთოდ არის შეცვლილი, რაც ჩვენი ხალხების მომავალი დაახლოების იმედს გვინერგავს...

აი, მათი განცდა:

**აფხაზი ქალბატონი**: ჩემი დისშვილი, რომელიც სიცოცხლეზე მეტად მიყვარდა, ქართველებმა მოკლეს. დაჭრილი საწოლზე მიაბეს, სახლს ცეცხლი წაუკიდეს და ცოცხლად ჩაწვეს. დიდი სიმწარე გადავიტანე, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მზად ვარ, დავივიწყო ყველაფერი. ომს თავისი კანონები აქვს და ვინ რა ჩაიდინა, ამის ჩამოთვლა უაზრობაა. ქართველ ქალს აფხაზებმაც ხომ გადააყლაპეს მოკლული შვილის თვალი? თუ ის ქალი მზად არის, აფხაზს მაინც გაუწოდოს ხელი და დაივიწყოს ყველაფერი, ჩვენ რაღა გვიდგას წინ? სხვა რა ვქნათ, აბა – ერთმანეთს გავუხსენოთ ის ჭირი და უბედურება, რაც ერთმანეთს დავაწიეთ? მინდა ჩემი ახლობლებისა და ნათესავების გასაგონად ვთქვა, რომ ჩვენი, ქართველებისა და აფხაზების გზა ერთია. მე აფხაზად დავიბადე და აფხაზად მოვკვდები, არასოდეს გავხდები ქართველი, მაგრამ მინდა ყველას გვესმოდეს, რომ ჩვენ მაინც ერთად უნდა დავრჩეთ...

**აფხაზი მამაკაცი**: ექვსი თვე ქართველების ტყვე ვიყავი, ძმა ქართველებმა მომიკლეს, მაგრამ თანახმა ვარ ნაბიჯი გადავდგა შერიგებისაკენ. ეს ნაბიჯი ქართველების სიყვარულმა კი არა, ჩემი ერის გადარჩენის სურვილმა გადამადგმევინა. ვერც ერთი აფხაზი ვერ იტყვის, რომ მის ძარღვებში ცოტაოდენი მაინც ქართული სისხლი არ ჩქეფს. ქართველებმა (უბრალო ხალხმა და არა ხელისუფლებამ) უკვე გადმოდგეს შერიგებისკენ ნაბიჯი, მათ პატიება გვთხოვეს და ჩვენც უნდა ვთხოვოთ პატიება. აფხაზებმაც იგივე უნდა გავაკეთოთ. მძიმედ ვიყავი ავად და ნაცნობებმა მირჩიეს, საქართველოში გამეკეთებინა ოპერაცია. ქართველი დასტაქარი მადგა თავზე, ურთულესი ოპერაცია თავისი სახსრებით გამიკეთა და მე კაპიკიც კი არ დამხარჯვია. გამოჯანმრთელების შემდეგ ხალხს გავესაუბრე, მათ შორის აფხაზეთიდან დევნილებსაც. მაშინ დავრწმუნდი, რომ ქართველებს შურისძიება არ სურთ, არც ჩვენი ამოჟლეტა აქვს ვინმეს განზრახული. ერთადერთი გზა ჩვენი ხალხების შერიგებაა. ვოცნებობ იმ დღეზე, როცა ქართველები და აფხაზები ენგურგაღმა-გამოღმა ნაპირს მოადგებიან, უნდობლობის კედელს გადალახავენ და ერთმანეთს ჩაეხუტებიან...

**ელგუჯა ესართია, ექიმი**: ჩემი მშობლებიც ექიმები იყვნენ და მთელი თავისი ცხოვრება, მესტიიდან მოყოლებული ანაკლიამდე, ენგურის ორივე მხარეს ქართველთა და აფხაზთა სამსახურს შეალიეს. ამიტომ, აფხაზები ჩემს ოჯახს ხშირად სტუმრობდნენ და დიდ პატივს სცემდნენ. ათი წელი ვიმუშავე მე თვითონ გაგრის სანატორიუმ **"კავკასიონსა"** და **"სარეაბილიტაციო ბალნეოლოგიური ცენტრის"** მეცნიერ-მუშაკ-კარდიოლოგად. ამჟამად აფხაზეთის მოსაზღვრე დაბა ანაკლიაში ვცხოვრობ. ხშირია შემთხვევა, როცა აფხაზები ღამით ჩუმად გადმოლახავენ ხოლმე ენგურს და ავადმყოფი ნათესავის გასასინჯად და სამკურნალოდ მივყავართ. ამ ხალხს, მათ ვაჟკაცურ დაპირებას ბრმად ვენდობი, რადგან ვიცი, რომ აფხაზს თვალთმაქცობა არ ეხერხება და მიცემულ სიტყვას არასოდეს გასტეხს. მაშინაც კი არ მითქვამს უარი, როცა აფხაზები და ქართველები ერთმანეთს იტაცებდნენ და მძევალის გამოსახსნელად დიდძალ გამოსასყიდს ითხოვდნენ. ყოველი ასეთი ღამის **"ვოიაჟის"** შემდეგ აფხაზის ოჯახში, როგორც წესი, პურმარილი იშლება ხოლმე და ერთად ვსვამთ ჩვენი დიდებული წინაპრების ხსოვნის, აფხაზეთისა და საქართველოს გამარჯვების სადღეგრძელოებს. ჩვენ ოდითგან ერთად მდგომი ხალხები ვართ, მომხვდურ მტერს ერთად ვუმკლავდებოდით და ერთმანეთს ვერსად დავემალებით – ჭირსა თუ ლხინში. ღმერთმა დაგვანათლა ერთად ყოფნა, ღმერთს კი არ ეღალატება...

**გაზეთ "ილორის" რედაქციის აზრით**

ქართველებმა და აფხაზებმა ყველაფერი უნდა ვიღონოთ საიმისოდ, რომ აღდგეს ტრადიციული ძმური ურთიერთობები ქართველ და აფხაზ ხალხებს შორის. და ეს უნდა მოხდეს დაუყოვნებლივ, მით უმეტეს, რომ რუსეთის ხელმძღვანელობამ უკვე გააკეთა განცხადება საქართველოს ერთიანობის აღდგენის თაობაზე, რითაც ფაქტიურად მოგვიწოდა დიალოგისა და არსებული პრობლემის მშვიდობიანი მოლაპარაკების გზით გადაწყვეტის თაობაზე. მაგრამ ნაცვლად დიალოგისა, საქართველოს სომხური იდეების ერთგული ხელისუფლება კვლავაც განუხრელად იღვწის სიტუაციის დასაძაბად, რაც თავისთავად აღძრავს იმის ეჭვს, რომ სააკაშვილი და მისი გარემოცვა დაინტერესებულია არა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენით, არამედ აფხაზეთში სომხური დიასპორის კიდევ უფრო გაზრდითა და გაძლიერებით. თუ გავითვალისწინებთ აჭარაში შექმნილ ჩვენთვის არახელსაყრელ მდგომარეობას, სადაც უკანასკნელი წლების განმავლობაში მკვეთრად იმატა ქართული მიწის მფლობელ და მისი შეძენის მსურველ სომეხთა რიცხვმა, შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი ეჭვი სრულიადაც არ არის საფუძველს მოკლებული. და ვინაიდან საქართველოს ხელისუფლება არავითარ დათმობებზე არ მიდის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად, ამ საქმეში უფრო აქტიურად უნდა ჩაერთონ არასამთავრობო საზოგადოებრივი ორგანიზაციები, რათა ჩვენი ხალხების დაახლოების წინაპირობა შეიქმნას დღესვე და სწრაფად მოხდეს მისი რეალიზაცის მას შემდეგ, როცა ქართველი ხალხი არჩევნების გზით სააკაშვილის ხელისუფლებას პოლიტიკურ არენას დაატოვებინებს და საქართველოს ახლადარჩეული ხელისუფლება იმოქმედებს მხოლოდ ქართველი და აფხაზი ხალხების ინტერესებიდან გამომდინარე. ფაქტია, რომ საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება ყველაფერს აკეთებდა ამ ორ ხალხს შორის ურთიერთობის დასაძაბად და სახალხო დიპლომატიის მონაპოვარის გასაქარწყლებლად.

სამწუხაროა, მაგრამ, ისიც ფაქტია, რომ არც შევარდნაძისა და არც **"ვარდების რევოლუციით"** საქართველოს სათავეში მოსული ხელისუფლება ჯეროვან ყურადღებას არ აქცევდა სახალხო დიპლომატიას და კატეგორიულად უგულვებელყოფდა მას. საქართველოს მმართველი წრეები არ იყენებდნენ საუკუნეთა განმავლობაში დამკვიდრებულ ნათესავ-მეგობრულ დამოკიდებულებას აფხაზებსა და მეგრელებს შორის. ის ცნობაც უტყუარია, რომ აფხაზები ოჯახის შვილს ცოლად არ გაატანდნენ იმ ადამიანს, ვინც მეგრული ენა არ იცოდა. კონფლიქტის შემდეგაც არ შეუწყვეტიათ ერთმანეთთან მიმოსვლა აფხაზებსა და მეგრელებს, განსაკუთრებით გლოვის დღეებში, როცა შერეული ოჯახის წევრი გარდაეცვლებოდათ ხოლმე. ისინი ავტომანქანებს დაახვედრებდნენ ხოლმე ენგურის ხიდთან ერთმანეთს და სტუმრებისათვის დაცვასაც უზრუნველყოფდნენ, რათა რაიმე პროვოკაციას არ ჰქონოდა ადგილი. არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ ეს ტრადიცია დღესაც გრძელდება ოღონდ ხელოვნურად შექმნილ საზღვარზე გადაპარვით, რაც საფრთხისმომცველია მშვიდობიანი მოსახლეობისათვის.

ჩვენ თავად გავხდით იმის მოწმე, ორიოდ წლის წინ, როგორ შემოიყვანა ზუგდიდის ერთ-ერთ პროფილაქტიკაში სარემონტოდ თავისი ავტომანქანა ოჩამჩირელმა აფხაზმა.

– იგი მუდამ ჩემთან დაიარება ხოლმე ავტომანქანის შესაკეთებლად, – გვითხრა ავტომექანიკოსმა,– რითაც შემიძლია ხელს ვუმართავ, და კარგი მეგობრებიც გავხდით, სულ ოჩამჩირეში მეპატიჟება. მაგრამ, ერთი რამე ვერ გამიგია. ამას წინათ შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები მოვიდნენ ჩემთან და გამაფრთხილეს, მაგ აფხაზს ასეთი გულისყურით ნუ ეპყრობი, თორემ უსიამოვნებაში გაეხვევიო. ვერ გამიგია, ნუთუ მართლა არ სურს საქართველოს ხელისუფლებაში ვინმეს, რომ ქართველებსა და აფხაზებს შორის მეგობრული ურთიერთობები აღსდგეს...

სიმართლე რომ გითხრათ, იმ ავტომექანიკოსს კი არა, ჩვენც ვერ გაგვიგია, თუ ვის აძლევდა ხელს ასე დალაგებული ქართულ-აფხაზური ურთიერთობების კვლავ აშლა და არევა.

საინტერესო კი ის გახლავთ, რომ 2008 წლის აგვისტოს მოვლენების მძიმე დღეებში მრავალი პუბლიკაცია გამოქვეყნდა საქართველოს ხელისუფლების კრიტიკით, მაგრამ არავის უხსენებია ამ უბედურების მთავარი მიზეზის ედუარდ შევარდნაძის სახელი. მრავალი სამართლიანი პროტესტი მოვისმინეთ იმის თაობაზე, რომ ქართულ მოსახლეობას მხოლოდ უცხო ქვეყნის ჯარისკაცი კლავს და ძარცვავს, მაგრამ არავის გახსენებია 1994 წლებში შევარდნაძის ინიციატივით სამეგრელოში დატრიალებული უბედურება, როცა უდანაშაულო მშვიდობიან ქართველ გლეხს კლავდა და ძარცვავდა არა უცხოელი მოძალადე, არამედ ჯერ კიდევ აფხაზთა ძარცვა-მკვლელობაში გაწაფული ქართული სახელისუფლებო ბანდები.

ეს კი არასოდეს არ უნდა დაივიწყოს არც აფხაზმა და არც ქართველმა ხალხმა!

ასე რომ, აფხაზო დებო და ძმებო, ნუ აჰყვებით ოფიციალურ სახელისუფლებო პროპაგანდას, აჰყვევით მხოლოდ საკუთარ გუმანსა და გულისთქმას, რომელიც არასოდეს უღალატებს ბრძენ აფხაზ და ქართველ ხალხებს.

როგორც ცნობილი ქართველი ნეიროქირურგი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ნაპოლეონ მესხია ბრძანებს თავის წიგნში: **"როგორ გასხვისდა აფხაზეთი"**: **"დაბეჯითებით შემიძლია განვაცხადო, რომ იყო და ჯერ კიდევ არის აფხაზებსა და ქართველებს შორის ურთიერთობის აღდგენის მცირედი შანსი, რათა კვლავაც ერთად ვიცხოვროთ, ერთად დავიოკოთ საწუხარი, თუ ამის საყოველთაო ნება იქნება, თუ ამ პროცესს პიარზე ორიენტირებული, უაზრო პოლიტიკა ხელს არ შეუშლის..."**

დროის დაკარგვა არ შეიძლება და შემორიგების აქტიური პროცესები დღესვე უნდა დავიწყოთ, თორემ მოდის ახალი თაობა, რომელთაც ერთმანეთი ისე აღარ ეტკივებათ, როგორც ჩვენ გვტკივა, და მაშინ, საუბედუროდ, იმის გაკეთება, რაც დღეს დიდ, მაგრამ გადასალახ სიძნელეებთანაა დაკავშირებული, ხვალ პრაქტიკულად შეუძლებელი გახდება!

**როლანდ ჯალაღანია,**
**საპატიო დოქტორი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სამეგრელო და სვანეთი




ამ წიგნის ავტორის, კორნელი ბოროზდინის სამსახურეობრივი კარიერა კავკასიაში დაიწყო. იგი ჯერ მთავარმართებლის კანცელარიაში მუშაობდა, შემდეგ კი (1854 წელს) სამეგრელოს დედოფალთან მიავლინეს მიწერ-მოწერის საწარმოებლად და მისი შვილების აღმზრდელად. 1858 წელს დაინიშნა სენაკის ოლქის უფროსად, სადაც 1867 წლამდე იმსახურა. სწორედ აქ გაეცნო იგი სამეგრელოს მოსახლეობის ყოფას, რომელიც საინტერესოდ აღწერა თავის წიგნში. ბოროზდინის მოგონებებში საკმაოდ ვრცლად არის გადმოცემული ოსმალეთის ჯარების მიერ სამეგრელოს აწიოკება, რომელიც შემდეგ რუსმა ჯარისკაცებმა ალაგმეს.

## კორნელი ბოროზდინი

ასე ეჭვის თვალით შეხედა გლეხმა ბეკოს წინადადებას გადასახადის შემსუბუქების შესახებ და, სანამ ბატონყმობა არ გადავარდნილა, ზურგით უზიდავდა ბატონს ხვედრ შეშას.

თავადიც ძალას არ ატანდა, ამიტომ რომ შედეგი ცუდი მოჰყვებოდა: **“კომლი“** აფხაზეთში გაექცეოდა.

გლეხების უმეტესი წილი ვალდებული იყო წელიწადში რამდენიმე დღე ერჩინა თავისი ბატონი, და რათგან საბახტარის მამული დიდს მანძილზე იყო გაფანტული, იმასაც ერთთავად გადასვლა-გადმოსვლა უხდებოდა ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე. ჩვენის ამბის დასაწყისში თავადს ჩვენ სწორედ ასეთის მოგზაურობის დროს მოვუსწარით: თავის სამშობლოს ზეგან ადგილიდან, ლეჩხუმიდან, დაეშვა ოდიშში და გაემართა ერთ ვაკეზე მდებარე სოფლისაკენ, სადაც უნდა გამასპინძლებოდენ მასა და მთელს ჯალაბს. გზა-გზა ბეკო ნადირობით ერთვებოდა. ჯალაბი უკან მისდევდა და ასე-ორის კვირის უკან უნდა შეერთებოდა. მის ჯალაბს შეადგენდა: კნეინა მართა, თხუთმეტი წლის მშვენიერი ქალი საბედა და ვაჟები არჩილი – ათის წლის, და ბატა – რვა წლისა.

უკვე ბნელდებოდა, როცა თავადი ბეკო თავის მრავლრიცხოვან ამალით სოფელში შევიდა. გზა ბილიკით მიდიოდა. ტყე-ტყე, ვაზებით შემოხვეულ ხეებს შორის. ზოგან ვაზი ერთი ხიდან მეორეზე გადადიოდა ორი-სამის მხარის მანძილზე და მოგზაურნი იძულებულნი იყვნენ ან ზევით აეწიათ ვაზი და ისე გაევლოთ, ან თავი დაეხარნათ. საბრალოა შეუჩვევარი მხედარი ამ ვაზების ქსელში, რადგან ღამის სიბნელეში მათი გარჩევა თვალებს უჭირდება: ან კისერი უნდა დაუშავდეთ ან სახე და ან ქუდი უნდა გადაუვარდეს.

ბევრი ხრამი და ღელე გაიარეს; ერთხელ დიდ მდინარეზეც გავიდნენ მოგზაურნი. ამათს შორის უცხო კაცი რომ ყოფილიყო, ამ მხარეში პირველად ნამყოფი, ამ გზაზე ხეებისა და ჯაგების მეტს ვერაფერს შეამჩნევდა და მცენარეთა ამ ერთფეროვან და ხშირ სამეფოში თავის დღეში ვერ დაბრუნდებოდა იმავე გზით მანდ, საითგანაც წამოვიდა, და მარტოდმარტო დარჩენილი უეჭველად დაიბნეოდა. მაგრამ ჩვენი მგზავრები სულ გაუჭირვებლად და დაუბრკოლებლივ მიდიოდნენ, ყოველმა მათგანმა იცოდა, რომ, რამდენი დარჩებოდა სოფლამდე.

სოფელში შევიდენ. მაგრამ აქ უფრო ადვილი იყო გზის დაკარგვა; ერთი სახლი მეორეზე კარგა მანძილზე იყო დაშორებული, ყოველს სახლს ეზო ჰქონდა, ეზოს კიდევ ღობე ევლო; ეზოებს შორის მიიკლაკნებოდა ბრუნდე, ვიწრო და ზოგან ძალზე ალაფებული ბილიკები. მაგრამ აქაც მგზავრები ბაწარაღებით ისე მიდიოდენ, თითქო დღე ყოფილიყოს და სისწორით უხვევდენ ხან მარჯვნივ და ხან მარცხნივ. ხანდისხან ცხენები იძულებულნი იყვნენ თხრილებზედაც გადამხტარიყვნენ, მაგრამ თითქო არაფერიო. სოფელში სიჩუკეს გლეხების გაბმული ყვირილი არღვევდა. ერთი მეორეს გასძახებდა.

– ივანია...უ-უ-უ!–რამდენჯერმე ასე დაძახებას შემდეგ პასუხად გაისმოდა:

– პერტეია...უ-უ-უ-!...

და გააბამდენ ხმამაღლა ყვირილით ლაპარაკს.

ხანდახან სოფელში ძაღლების ყეფა ასტყდებოდა: დაიწყებდა ჯერ სადმე ქოფაკი, ბანს მისცემდა მეორე, მეორეს – მესამე და მათი კონცერტი მთელს სოფელს მოეფინებოდა. ჯერ გაშმაგებით ჰყეფდენ, მერე უკლებდენ, ბოლოს ხმა სადმე შორს მისწყდებოდა და ძაღლები მიყუჩდებოდენ. ნახევრად გაღებულ სახლებიდან მოსჩანდა კერაზე დანთებული ცეცხლი, რომელსაც გარშემო უსხდენ ოჯახის წევრნი.

ნახევარი საათი მეტი ხან მარჯვნივ უხვევდენ, ხან მარცხნივ, ბოლოს, როგორც იქნა, მიადგნენ ერთ ღობეს. მოწინავე ცხენოსანი ცხენიდან ჩამოხტა და ლაბახას (სამეგრელოში ძველებურ ჭიშკარსა ჰქვიან. იქით-აქეთ დასობილ სარებს გაყრილი აქვს ჰორიზონტალურად ხუთი-ექვსი გათლილი ან გაუთლელი ლარტყა კაცის სიმაღლეზე. როცა ცხენით ან ურემით შესვლა უნდათ ეზოში, ყველა ლარტყა სათითაოდ უნდა გამოაცალონ) შლა დაუწყო.

ეზოდან ხმაურობა მოისმა, წკავწკავით წამოიშალნენ ძაღლები. განათებული სახლის კარები გაიღო და გამოვიდა რამდენიმე კაცი. ერთი წინ მირბოდა ანთებულ მუგუზლის ქნევით გზის გასანათლებლად.

– აქეთ მობრძანდით, ბატონო, აქეთ! – იძახდა გლეხი. – მშვიდობა თქვენს მობრძანებას, ბატონო! აი აქეთკენ, აქ ცხენიდან კარგი ჩამოსახტომია... აქამდე გელოდით... გელოდით... მერე ვიფიქრეთ, დღეს ვერ მობრძანდებით-მეთქი...

თავადი ცხენიდან ჩამოხტა სახლის მახლობლად, ცხენი კოსტამ ჩამოართვა. მუგუზლიანმა გლეხმა მუგუზალი ხელიდან გააგდო და ბატონს მუხლებზე კოცნა დაუწყო. აგრეთვე მოიქცნენ სხვებიცა, ვინც სახლის წინ იდგნენ.

– გამარჯვება შენი, ბახვა! გამარჯვება! პერტეია! გამარჯვებით, გამარჯვებით! – ეუბნებოდა საბახტარი მის მუხლებისა და ხელების საკოცნელად მისწვდებს და მეგობრულად ყველას თავებზე ხელს ადებდა.

მისალმებას შემდეგ თავადი სახლში შევიდა. სახლი მოზრდილი იყო, კერაზე გაჩაღებული ცეცხლი გუგუნებდა. ორსავ მხარეზე ტახტები იყო შეკრული, ერთზე ძველი ნოხი ეფინა და ორი მუთაქა თავით და ფეხთით იდო. თავადი ამ ტახტზე ჩამოჯდა და მეავჟანდემ მოხამუზისა და პაჭიჭების ხდა დაუწყო. ხოლო სახლის პატრონმა იარაღი ჩამოართვა: ეს მისი განსაკუთრებული უფლება იყო.

მღვდელი, მდივანი და დანარჩენი ამალაც შემოვიდა სახლში და მოწიწებით კარებთან გაჩერდენ, სანამ თავადმა არ უთხრა, დასხედითო.

მგზავრობის დროს დაწყებული და დროებით შეწყვეტილი ამბავი ჯიხვებზე ნადირობისა ხელახლა განაგრძეს. ჯიხვებზე ნადირობასებრ თავადს არაფერი უყვარდა და ყოველთვის სიამოვნებით უსმენდა ყველას ამ ნადირობის ამბავს. გზაში ორმა მონადირემ თავისი მოგონებანი გაუზიარა, და ახლა კოსტას მიერ მოკიდებული ჩიბუხი ხელში დაიჭირა, მოსწია და თვითონ დაუბრუნდა ნადირობის ამბავს.

– არა, ახლა სადღაა წინანდებურათ ნადირობა! – დაიწყო ბეკომ, – ლევან დადიანის დროს უნდა გენახათ, რა ამბავი ყოფილა.

– ნადირიც გაწყდა, როგორც ამბობენ, – სიტყვა ჩაურთო მღვდელმა.

– გაწყდა და მერე როგორ! ახლა, მაგალითად, საქორიას მთაზე კაცი თითქოს ვერ შეხვდება ჯიხვს. თხუთმეტის წლის წინად კი, ჯიხვების ბუდეს, რომ იტყვიან, სწორედ ის იყო ეს მთა.

თავადის ამ უკანასკნელ სიტყვებზე სახლში შემოვიდა ასე სამოცდაათის წლის მოხუცი, მთლად გაჭაღარავებული, წელში მოხრილი, მაგრამ მაინც ძალზე მაღალი; მისს შავს თვალებს, სქელ, გათეთრებულ წარბებით დაფარულს, წყალი ჯერ კიდევ არ გამოჭლეოდა. შემოსულს ყველაზე განსაკუთრებული ჰქონდა გრძელი, გულზე ჩამოყრილი ულვაშები, ნარინჯის ფრად შეღებილი და ბოლოში თეთრები. როცა ბეკომ შემოსული დაინახა, სახე გაუბრწყინდა, ტახტზე წამოჯდა და ღიმილით მიუბრუნდა:

– აა, ჩემო გიგო! შენა ხარ? დიდს ხანს მიცოცხლოს ღმერთმა შენი თავი! როგორა ხარ, მოხუცო, როგორ კარგად გიკითხო?

გოგია მივიდა საბახთართან, დაუჭირა ხელი და ეამბორა. ბეკომ კი თავზე აკოცა.

– გავიგე, რომ დღეს მობრძანდებოდი და მეც წამოვჩანჩალდი შენს სანახავად.

– მადლობელი ვარ, ჩემო გოგია, მადლობელი. მოდი, ჩამოჯექი, ჩემო კეთილო... ისევ ახალგაზრდა ყოფილხარ, ძველებურად ყოჩაღი... ჰო, მე და ჩემმა ღმერთმა... დაჯექ... დაჯექ...

გოგია ჩამოჯდა და განიერი ფაფანაკი თავზე ჩამოიფხატა.

– ჰა, მითხარ, როგორა ცხოვრობ, ბაბუა?

– ეჰ ჩემი ცხოვრება რა სახსენებელია, ბატონო! დავეხეტები ძაღლუმადურად, მოხუცის კაცის ამბავი ხომ მოგეხსენებათ. მთავრისა და თქვენის წყალობით მიდგას სული... ღმერთმა თქვენი თავი ნუ მომიშალოს...

– შარშან რომ მიწას დაგპირდენ, ხომ მოგცეს?

– მოცემით კი მომცეს, მაგრამ ის კი არ მოუციათ, რასაც დამპირდენ. სახლთუხუცესმა, – ღმერთმა კი მისი კუბო მაჩვენოს, – არ მიხედა ჩემ მოხუცებულობას და მიწის მაგიერ კლდე მომიზიდა. მთავართან მინდა ვიჩივლო. გოგიას ახლა ყველა იჯაბნებს, კაცად აღარავინ აგდებს – მოხუცმა თავი ჩაჰკიდა და ერთ წამს შემდეგ დასძინა: – ცხონებულ ლევან დადიანის დროს ამას ვინ გამიბედავდა!.

– სწორედ შენის შემოსვლის წინად მოვიგონეთ განსვენებული... ღმერთმა სასუფეველი დაუმკვიდროს! მოვიგონეთ საქერიას მთაზე ნადირობაც,..

თავადი და გოგია გაჩუმდენ და ფიქრებს მისცეს თავი. ეტყობოდა, ორსავე მოაგონდა ტკბილი წარსული დრო. გოგიას სახე დაუღონდა, მწარედ ამოიოხრა, ქისიდან პატარა ჩუბუხი ამოიღო, ნელ-ნელა გასტენა თუთუნით, ცეცხლი მოუკიდა, დაებჯინა თავის ჯოხს და ხელახლა დაფიქრდა.

– მითხარ, ჩემო გოგია, – დაიწყო ისევ თავადმა ბეკომ, რომელიც თითქო გამოერკვია მოგონებიდან. – შენ ახლდი ლევანს საქერიას მთაზე, როცა ერთს მის მონადირეს გზა დაჰკარგვოდა?

– როგორ არ ვიყავი! განა არ მოგეხსენებათ, რომ მთელი ჩემი სიცოცხლე ლევანის გვერდით გავატარე!..

მოხუცმა პირიდან კვამლი ბოლქვაბოლქვად გამოუშვა, ჩიბუხი გამობერტყა, ხელახლა გასტენა თუთუნითა, მოუკიდა, ცოტახანს ჩუმად იყო, თითქო აზრს იკრებსო, და დაიწყო:

– ეს ამბავი, ბატონო, სწორედ იმ წელიწადს მოხდა, როდესაც დედოფალი მართა ახალ სასახლეში დაბინავდა, სოფ. მურში. ცოდვა გამომჟღავნებული სჯობია: ქმარს, ლევან დადიანს, მართასთან უკმაყოფილება ჰქონდა, ერთი კვირა იყო თუ ცოტა მეტი, იცხოვრა მართასთან მურში. მერე ქულბაში გადასახლდა, რომ საქერიასთან ახლო ყოფილიყო.

„ნადირობა სამარიამობით დავიწყეთ და კვირა იშვიათად გამოერეოდა, რომ საქერიაზე ორჯერ-სამჯერ არ ავსულიყავით, ქულბაქიდან გათენებისას გავიდოდით, და შუადღისას კი მთას მოვექცეოდით, ღამეს სანადირო ქოხში გავათევდით, ხოლო საღამოს ისევ ქულბაში დავბრუნდებოდით.

„ასე ვინადირეთ სექტემბრის თვემდე. მთა უკვე ერთხელ ჩამოთოვა, მაგრამ რამდენსამე საათში ისევ აიღო. დრო იყო, ნადირობა გაგვეთავებინა, რადგან ჯიხვი სულ მაღლა იწევდა მიუვალ, ციცაბო კლდეებისაკენ. მაგრამ ლევანი მეტად გაიტაცა კარგმა ნადირობამ და არ უნდოდა საქერიასათვის თავი დაენებებინა. თუ ყოფილხარ ამ მთაზე, უეჭველად გენახვება იმ მხარე მთისა, რომელსაც გულის-თავს ეძახიან... სანადირო ქოხს მარცხნივ ადგილი სრულებით მიუვალია, ნადირმა კი ამ ადგილს მიაშურა. ლევანმა კი გადასწყვიტა, მოდი, ბედსა ვცდი ამ მთაზედაო.

„თან ორმოც კაცზე მეტი ვახლდით. მთის ყოველს ასავალ-დასავალს ვიცნობდით, მაგრამ გულისთავზე ჩვენგანი ბევრი არა ყოფილა. აქ ასულან: სიკო ელამი, ინგურში რომ დაიხრჩო, მერე ბატაია ორბელია, ახლა მარტვილის მონასტერში მნათედ რომ არის, და ოქროპირი, ჩემი ცოლის ძმა; ამათს გარდა აქ არავინ ყოფილა. მაგრამ ლევანმა გვიბრძანა ავსულიყავით. სიკო გავიძღოლიეთ და ყველანი უკან გავყევით. ავედით პირველ ზურგზე, ლევანიც ჩემთან მოდიოდა. ღრუბლები ჩვენს ქვემოთ იყო დაკიდებული; ხრამში გადავიხედეთ, იქნება სადმე მიმალულია ჯიხვიო, ვსთქვით. ამ დროს დავინახეთ, რომ მთელი ხრამი ნისლში გაეხვია. უნდა გაჩერებულვიყავით, აქ დაგვეცადნა, სანამ ნისლს გადიყრიდა. ლოდინი დიდხანს არ დაგვჭირებია: დაუბერა ნიავმა, მიჰფანტ-მოჰფანტა ნისლი და ხევი ნათლად გამოჩნდა ჩვენს წინაშე. მის ძირის, ერთ გორაკის ბუსნოზე, დავინახეთ მთელი ჯოგი ჯიხვებისა.

„ტანში ახლაც მაჟრჟოლებს იქ ნახულის მოგონებაზე... სიხარულის კანკალმა აგვიტანა ყველანი.

„მაგრამ უცბად წამოუქროლა ქარმა, ხევში ისევ მოჰკერა საიდანაც ახალი ნისლი და შიგ გახვია ჯოგი!

„მაშინ ლევანმა წამოგვჩურჩულა: „აბა, ძმებო, ზურგზე გადავიდეთ და გავსწიოთ წინ.” მყისვე ავასრულეთ მისი ბრძანება და თავქვე დავეშვით ხევში. კატებივით მივცოცავდით ფრთხილად; უნდა მოგვესწრო და სანამ ნისლს გადაიყრიდა, მანამ მივპაროდით ჯიხვების ჯოგს ახლო. ნისლს კარგა ხანს არ გადაუყრია, ასე რომ ჩვენ ძალიან ძირს დავეშვით. მაგრამ როცა ხელახლა შემოუბერა ქარმა, ჩვენს წინ ბუსნო გამოჩნდა, მხოლოდ ჯიხვები კი ყველანი გაპარულიყვნენ. ძალიან ფრთხილად მივიპარებოდით, მაგრამ მათ მაინც გაეგოთ და გაქცეულიყვნენ. მხოლოდ ორს მათგანს მოვკარით თვალი: შორს, ფრიალო კლდეზე ადიოდენ. დავინახეთ თუ არა, ჩვენც უკან გავყევით. სიკო ისევ წინ წაგვიძღვა, იმას კიდევ უკან მიჰყვა ჯერ ისევ ახალგაზრდა ბიჭი კირვალია. ღვთის წინაშე, ყველას კი გაგვიკვირდა მისი გამბედაობა. რომელღამაც გამოცდილმა მონადირემ მიაძახა კიდეც: „ბალღო, სად მიდიხარ, ღმერთი არ გაგიწყრეს და სადმე ხრამში არ გადაიჩეხო”. მაგრამ კირვალიამ ყური არ ათხოვა, აფოფხდა და ელვის სიმაღლეზე სიკოსთან ერთად თვალთაგან მოგვეფარა.

# კოლხეთი — ჩვენი სამყაროს კარიბჭე

*გთავაზობთ ნაწყვეტს აკადემიკოს* **კლიმენტი შელია** *წიგნიდან*

***იბერიადა იწყება კოლხეთით, კოლხეთშია ქართული და მსოფლიო ცივილიზაციის სათავე***

**ლევან სანიკიძე**

კოლხეთში განვითარებული სახელმწიფოს არსებობის პერიოდი წინ უსწრებს ეგვიპტეში დიდი ფარაონების მმართველობის პერიოდს. ფარაონებს სასაფლაოებში ჩატანებული ჰქონდათ უდიდესი სიმდიდრე, კერძოდ, ოქროს ძვირფასი ნაკეთობანი. ისმის კითხვა: მეტალურგიის წარმოების ოქროს დამუშავების გამოცდილება ეგვიპტეში ხომ არ გადავიდა კოლხეთიდან, ან პირიქით, ეგვიპტიდან კოლხეთში? 2007 წელს, არქეოლოგებმა შუა ნილოსის მიდამოებში გამოთხარეს (აღმოაჩინეს) უძველესი ოქროს საწარმოო ცენტრი, რომელიც ძველი წელთაღრიცხვის 2000-1500 წლებში მუშაობდა. საწარმოში ყველაფერი გრანიტისგანაა დამზადებული, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე გამძლე ქვაა. თუ საწარმოს ზომებით ვიმსჯელებთ, – აცხადებენ მეცნიერები,– აქ ოქროს ზოდების წარმოება მასშტაბური უნდა ყოფილიყო (გაზ. **"ალია"**, 2007 წლის 21-22 ივნისი, №71). მეცნიერებაში ცნობილია, რომ აღნიშნულ დრომდე დიდი ხნით ადრე ხდებოდა მადნის მეტალურგიული დამუშავება (მათ შორის ოქროს) კოლხეთში.

ეგვიპტის დედაქალაქ კაიროში მდებარე გერმანული არქეოლოგიური ინსტიტუტის დირექტორი გიუნტერ დრეირი მიუთითებს, რომ ძველი წელთაღრიცხვის 2650 (თუ 2609) წელს ფარაონ ჯოსერის მიერ აგებულ პირველ პირამიდასა და ერთ-ერთი მისი წინამორბედის მიერ აგებულ აკლდამას შორის მსგავსება არსებობს (გაზ. **"ახალი ვერსია"**, ეგვიპტური პირამიდები – მშენებლების შეცდომა? 2004 წელი, 1-7 მარტი). მაშინ გამოდის, რომ კოლხ მშენებლებს ეგვიპტურ პირამიდებზე მუშაობა 4.000 წლის წინ დაუწყიათ და არა უფრო გვიან – თუთანქამონის – აკლდამის მშენებლობის პერიოდში. მეცნიერთა აზრით, ამ აკლდამების მსგავსია ფარაონ ხასეხემვის აკლდამა, რომელიც ეგვიპტის სამხრეთით, ძველ სამეფო ნეკროპოლში – აბიდოსში მდებარეობს (ხომ არ არის რაიმე მსგავსება ეგვიპტურ ნეკროპოლსა და კოლხურ არქეოპოლისს შორის?!). ეგვიპტის პირველმა ფარაონმა მენესმა როცა გააერთიანა ეგვიპტე, ქვეყნის დედაქალაქად გამოაცხადა ქალაქი მემფისი. VI დინასტიიდან ქალაქს ეწოდა **"მენფერი"** (ფარაონ **"მენესის უმშვენიერესი სამყოფელი"**): კოპტურ ენაში ქალაქს ეწოდა **"მენფე"**, ბერძნებმა უწოდეს **"მემფის"**. საამაყოა ის, რომ ეგვიპტური პირამიდების მშენებლობის მთელი რიგი საიდუმლო ამოხსნა ახალგაზრდა ქართველმა მეცნიერმა გიზო ვაშაკიძემ (გაზ. **"ასავალ-დასავალი"**, 2003 წელი, 21-27 აპრილი).

განსაკუთრებით აღსანიშნავია: მარტო ერთი, ეგვიპტელ, ყველაზე მნიშვნელოვან, თვრამეტი (ზოგიერთი ამბობს, ცხრამეტიოცი) წლის მონარქის ტუტანხამონის (თუთანქამონის) – ძველი წელთაღრიცხვის XIV საუკუნის პირველი ნახევარი – აკლდამის (**"მეფეთა ველზე"** დამარხულ მონარქებს შორის) ერთ **"ოთახში"** ოქროს 700 ნივთი აღმოჩნდა. სიტყვამ მოიტანა და ვიტყვი, რომ ფარაონ თუთანქამონის **"ოთახში"**, რომელსაც კარები ოქროსი ჰქონდა, იდგა ოქროს კიდობანი, რომლის სიგრძე 5 მეტრი იყო, სიგანე – 3,70, სიმაღლე – 2,73 მეტრი. კიდობანში იყო ახალგაზრდა ფარაონის 1,85 მეტრი სიმაღლის ოქროს სკულპტურული გამოსახულება. არქეოლოგიური გათხრები, რომელიც 6 წელზე მეტ ხანს გაგრძელდა, 1922 წელს დამთავრდა. სამუშაოებს აწარმოებდა ინგლისელი არქეოლოგი ჰოვარდ კარტერი (ძველი თებეს ახლოს). ძველი წელთაღრიცხვის 1538-1526 წლებში ეგვიპტის ერთ-ერთი გავლენიანი ფარაონი იყო ტუტმოს I ოხეპერკარა.

ნუთუ იქ, ძველ ეგვიპტეში, კოლხები ცხოვრობდნენ და მუშაობდნენ?! ცნობილია, რომ ქართველები (კოლხები) ცხოვრობდნენ პირენეის ნახევარკუნძულზე, მთელ შუამდინარეთში – ბაბილონში. სირიაში და სხვაგან (ზემოთ გვაქვს ჩამოთვლილი), ხოლო ქომეთის (ეგვიპტის) რამდენიმე ფარაონი ქართველური წარმომავლობისა იყო. იმასაც მიუთითებენ, რომ ეს ტერიტორიები ანმარეს დროს, უფრო ადრეც და უფრო გვიანაც ქართული მიწა-წყალი იყო.

ნუთუ ეგვიპტელ მონარქთა, **"მეფეთა ველზე"** ნაპოვნ ფარაონთა სასწაულებრივი, ხელოთუქმნელი, მსოფლიოს შვიდი საოცრებიდან პირველი პირამიდები – სარკოფაგები და აქ თავმოყრილი ოქროს ნაკეთობანი, სამკაულები, სკულპტურული ქმნილებანი, კოლხ ოსტატთა ნახელავია? ან და ჯოსერის პირამიდის მშენებლობის ხელმძღვანელი, ეგვიპტეში ქვის მშენებლობის ფუძემდებელი, არქიტექტორი იმხოტეპის სახელი ძველი მეგრული სახელის მსგავსი ხომ არ არის?! ის კი მსოფლიოსათვის ცხადია, რომ ძველ კოლხთა და მათ მემკვიდრეთა ნამუშევარია **"ოქროს საწმისი"**, აიეტის **"სპილენძის ყუთი"** და იქ ჩადებული დიდი ცოდნა, რომელმაც მსოფლიო უზომოდ, სასიცოცხლოდ გაამდიდრა.

რაიმე საიდუმლო ხომ არ არის იმაში, რომ ჰეროდოტე კოლხებს და ეგვიპტელებს ერთ ხალხს უწოდებდა ან ნათესავად თვლიდა?

აქ, ალბათ, კიდევ ბევრის თქმა შეიძლება...

ძველ კოლხეთში ოქროს დამუშავების წესი დეტალურად აქვს აღწერილი სტრაბონს. შემთხვევითი ხომ არ იყო ის ფაქტი, რომ კოლხეთს ოქრომრავალ ქვეყანას უწოდებდნენ და ისიც, რომ "**ოქროს საწმისის"** სათავეები შორეულ წარსულშია საძიებელი. ეს ხომ არ მიუთითებს იმაზე, რომ კოლხეთი დაკავშირებული იყო ძველ ეგვიპტესთან, მის მეფეთა სიმდიდრეებთან? და იქ ნაპოვნი ნაკეთობების კოლხურ წარმომავლობაზე?!

ზოგიერთი მკვლევარის აზრით, ქალდმეგრელები პალესტინა-იერუსალიმში ძველი წელთაღრიცხვის VIII-V საუკუნიდან (?) ბატონობდნენ. იერუსალიმში, სადაც ქრისტიანობის აკვანი დაირწა, სადაც **"პირველებმა დაიწყეს ქრისტიანობის გავრცელება და ხალხი ერთბაშად დაეწაფა ქრისტიანობას"** – მის პირველ გამავრცელებელ მეგრელებს-იბერებს სასტიკად სდევნიდნენ ისრაელელი კეისრები. ქრისტიანული მოძრაობის მამამთავარი იესო ქრისტე ჯვარს აცვეს; ქრისტიანებს ცოცხლად მარხავდნენ მიწაში, შანთით აწამებდნენ. იერუსალიმის კეისარმა ქრისტიანობის გავრცელებისათვის 304 წლის 23 აპრილს თავი მოკვეთა იერუსალიმელ გიორგის (წმინდა გიორგი). ეს საშინელი სურათი აღწერილი აქვს სომეხ მეისტორიეს ინჯიჯიან ლუკას ნაშრომში **"წმინდანების ცხოვრება"**.

უმძიმესი რეპრესიების გამო იერუსალიმელ ქრისტიანთა დიდმა ჯგუფმა დატოვა იერუსალიმი და თავი შეაფარა მდინარე ბურანუნის (ევფრატის) სათავესთან მთებს, ეზრუმის მთის მიჯნაზე, ძველი სამეგრელოს სახელის – იბერის (იბერია) მიხედვით, ააშენეს ციხე-სიმაგრე, რომელსაც **"ჯიბერი"**, **"ჯებერი"** დაარქვეს. ციხე, ამავე დროს დარაჯობდა იმ უღელტეხილს, საიდანაც გზა მიდიოდა აღმოსავლეთ საქართველოში. ჯიბერი ქრისტიანობის გავრცელების კერად, მეორე იერუსალიმად იქცა. **"ჯიბერი"**, **"ჯებერი"** მეგრული სიტყვაა (მტკიცე, მაგარი). ციხე-სიმაგრეს მეგრელები ჯიხასაც ეძახიან. მაგალითად, სქურის (წალენჯიხა) ციხე-სიმაგრეს, უბრალოდ, **"სქურის ჯიხას"** უწოდებენ. ამტკიცებენ, რომ სიტყვა იბერი, იბერია-დან არის წარმომდგარი სიტყვები **"ჯიბერი"**, **"ჯებერი"**, ან, პირიქით – **"ჯიბერ"-"ჯიბერიდან"** – იბერი, იბერია. ჩანს, რომ **"იბერი"** უძველესი, ქრისტიანობამდე ათასწლეულობის წინანდელი მეგრული სიტყვაა, რომლის ფუძეა ჯიბერი, ჯებერი, ჯიხა (ზუგდიდის რაიონში სოფელი ჯიხასკარი), **"ჯიბერი"** – ქართულად **"ჯებირი"**.

**"იბერი"** თავისი ფორმით ლაზ-მეგრული სიტყვაა, შინაარსითაც უთუოდ მეგრულია. აგრეთვე ბასკური (ძველ იბერიული) ენა და მეგრულ-ლაზური ენები მონათესავე ენებია (ესპანეთის იბერია).

ნიკო მარის მიხედვით, იბერიად სამეგრელო და იბერებად მეგრელები იწოდებოდნენ, მაგრამ ბერძნებმა ეს სახელი აღმოსავლეთ საქართველოსაც შეარქვესო, აღმოსავლეთ საქართველოში ქრისტიანობა მეგრელ იბერებს შემოუტანიათ, ლაზებსა და მეგრელებს იერუსალიმში ქრისტიანული ეკლესია ჰქონიათ.

ჯიბერიდან ახლო და შორ ტერიტორიებზე ფართოდ ვრცელდებოდა ქრისტიანობა. ალბათ, ამიტომაც, პალესტინა-იერუსალიმის კეისრები დიდი ჯარით შეესივნენ ჯიბერის ციხე-სიმაგრეს, მაგრამ სასტიკად დამარცხდნენ. ახალი წელთაღრიცხვის X საუკუნეშიც ქრისტიან მეგრელ-იბერები კვლავ ფლობდნენ ჯიბერის ციხე-სიმაგრეს მდინარე ევფრატის სათავესთან.

საბერძნეთის X საუკუნის მეფე პორფირე გერენტიმ განიზრახა იბერთა ჯიბერის ციხის დაპყრობა და იქიდან სალაშქროდ გადასვლა აღმოსავლეთ საქართველოში, მაგრამ ძნელად მისადგომ მთებში გერენტის ჯარებმა ვერაფერი გააწყვეს და უკან დაბრუნებულმა თქვა: ამ ციხის მეციხოვნე იბერები აქ ჩამოსული არიან იერუსალიმიდან – მათ ქრისტე თავგამოდებით ჰყვარებიათ და ამიტომაც ქრისტეს მიუცია მათთვის უჩვეულო გრძნეულებაო. მან ჯიბერის მეციხოვნე იბერებს **"ქაჯები"** უწოდა, ხოლო მათ ციხეს – **"ქაჯთა ციხე"** (ჟურნალი **"აია"**, 1998 წელი, №1, გვ. 55).

ზოგიერთი მკვლევარის აზრით, სახელწოდება იბერი ახალი წელთაღრიცხვის III საუკუნის პირველი ნახევრიდან (და არა ძველი წელთაღრიცხვის IV საუკ.) არის აღმოსავლეთ საქართველოს სადინასტიო სახელი, რაც არ უნდა იყოს სწორი.

ჯიბერელმა იბერებმა მოციქულები გამოაგზავნეს სამეგრელოში ქრისტიანობის გასავრცელებლად. ისინი თავდაპირველად ანაკლიაში ჩამოსულან და იქაურ ტიბარებს მიაღებინეს ქრისტიანობა, დაიწყო ქრისტიანობის გავრცელება მცხეთაშიც. ამაზე მიუთითებდა კ. კეკელიძეც და მოითხოვდა, ახსნილიყო სიტყვა **"ქართი"** რას ნიშნავდა. ს. კაკაბაძე აღნიშნავდა, რომ ანბანი და მწიგნობრობა აღმოსავლეთ საქართველოში იერუსალიმელმა იბერებმა შემოიტანესო. მაგრამ ვინ არიან ეს იბერები? ჯიბერის შემდეგ ქრისტიანობის მეორე კერა გახდა ჰერეთი, რომელიც წოდებულ იქნა ჰერეთის იბერიად. ცნობილია, რომ იბერია ქართლის სამეფოს სადინასტიო სახელი იყო (ამაზე ვრცელი ამინარიდი გვაქვს მოტანილი ექვთიმე თაყაიშვილის ნაშრომიდან: **"როდის შეიცვალა იბერთა სახელმწიფო ქართველთა სახელმწიფოდ?"**).

მკვლევარი კოჩა კოლხი სტატიაში **"ქართისა"** და **"მეგრულის"** ეტიმოლოგიის შესახებ წერს, ჰეროდოტეს ცნობით ალბანები (თანამედროვე აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხი) ლაპარაკობდნენ მეგრულად, რაც იმას ნიშნავს, რომ მეგრელები ჰეროდოტეზე ადრე იწოდებოდნენ **"მეგრელებად"** და ეკავათ ამიერკავკასიის უდიდესი ნაწილი.

ცნობილია, რომ ქრისტიანობა სამეგრელომ მიიღო ანდრია მოციქულის ძალისხმევით. ამ ფაქტს ადასტურებს III საუკუნის მეისტორიე ეპიფანე კვიპრელიც: **"ანდრია მოციქული მივიდა ტრაპზუნს ქვეყანასა მეგრელთა, გაანათლა სოფელნი და იერუსალიმს დაბრუნდა"**-ო. კვიპრელის ცნობა – რომ ანდრია მოციქული დაბრუნდა იერუსალიმში, საეჭვო ჩანს, რადგან იერუსალიმში უფრო გვიან, IV საუკუნეშიც სასტიკად ებრძოდნენ ქრისტიანებს და ქრისტიანობის გამავრცელებლებს. აქვე გვინდა აღვნიშნოთ ის, რომ ბერძენი ისტორიკოსი სოკრატი მიუთითებს: შავიზღვისპირა მეგრელი იბერები ესპანეთიდან ჩამოსული იბერებიაო. ივ. ჯავახიშვილი არ ეთანხმება ამ მოსაზრებას.

მკვლევარები ამტკიცებენ, რომ ჯიბერელმა იბერებმა II საუკინის დასაწყისში საბერძნეთს შესთავაზეს ქრისტიანობა, დაამყარეს ამ ქვეყანასთან კავშირი და ქრისტიანობის გავრცელების ცენტრს, ატენს, დროის ერთ მონაკვეთში, იბერიას უწოდებდნენ ქრისტიანობის პატივსაცემად. ჯიბერელებმა ბერძენ ქრისტიანთა დახმარებით ქრისტიანობის გავრცელება იწყეს ესპანეთში. ასე შეიქმნა ესპანეთში მეგრული იბერია. მაგრამ იბერთა ეს გაქრისტიანებული ჯგუფი სასტიკად დაარბიეს ესპანელმა კერპთაყვანისმცემლებმა. ასეთი მძიმე რეპრესიებით დაშინებულთა დიდი ჯგუფი გამოიქცა ესპანეთიდან და თავი შეაფარა სამეგრელოს, რომელიც იმ პერიოდამდე დიდი ხნით ადრე უკვე იბერიად იწოდებოდა. ამიტომაც ამბობენ, მეგრელი და ესპანელი იბერები ნათესავები არიანო. მაგრამ ესპანელებს საკუთარი იბერია არ ჰქონიათ, ეს მათი შენაძენი სახელი იყო.

როგორც ცნობილია, აკადემიკოს ნიკო მარს **"იბერი"** მეგრულ სიტყვად მიაჩნდა. სახელი **"იბერი"** იმ ქვეყანაში შეჰქონდათ, სადაც ქრისტიანობას ავრცელებდნენ. ნიკო მარის ამ აზრს ეთანხმება და ეს დებულება გარკვევით აქვს ჩამოყალიბებული აკადემიკოს გიორგი მელიქიშვილს. ჩანს, პალესტინა-ისრაელში – ქრისტიანობის წინააღმდეგ ბრძოლა ერთგვარად მიწყნარდა, ისრაელში ცეცხლთაყვანისმცემლობამ გაიმარჯვა, მოწინავე ქვეყნებში – კოლხეთში, აღმოსავლეთ საქართველოში, ასურეთში, საბერძნეთში, ესპანეთში – ქრისტიანობამ.

V-VI საუკუნეთა მიჯნაზე მოწინავე ქრისტიანულმა ქვეყანამ – კოლხეთმა ისრაელის წინაშე დააყენა საკითხი ქრისტეს ხსოვნის აღსანიშნავად ქრისტეს სამშობლოში ჰქონოდა წმინდა ჯვრის ეკლესია. ამ მოთხოვნას მხარი დაუჭირეს ასურეთმა და საბერძნეთმა. ამ ქვეყნებთან ისრაელს ჰქონდა კარგი სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა და ალბათ, იძულებული იყო მიეღო კოლხეთის მოთხოვნა, ოღონდ ეკლესიას მიზნად არ უნდა დაესახა ქრისტიანობის გავრცელება. კოლხეთმა იერუსალიმში ააშენა ეკლესია, სადაც ისხდნენ ნიჭიერი, განათლებული კოლხი მწიგნობრები, წერდნენ საეკლესიო სალოცავ წიგნებს და ავრცელებდნენ მთელი საქართველოს ეკლესიებში. ჯვრის ეკლესია სამეგრელოს ეკუთვნოდა. ეს იქიდანაც ჩანს, რომ XII საუკუნეში სამეგრელოს მთავარმა – ცოტნე დადიანმა აღნიშნული ეკლესია შეაკეთა (ამაზე უფრო ვრცლად ზემოთ გვქონდა საუბარი). იერუსალიმში იყო აგრეთვე ლაზთა (ბეთლემის) ტაძარი. როგორც ჩანს, ზემოთ აღნიშნული მასალები ისტორიულად (ლოგიკურადაც) სწორი უნდა იყოს.

**კლიმენტი შელია,**
**აკადემიკოსი, დამსახურებული მოღვაწე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საით მიისწრაფოდნენ პროტოქართველები?

*„ისტორიას ისე ნათლად არ შეუძლია წარმოდგენა შეგვიქმნას იმის შესახებ, თუ როგორ იცვლებოდა ხალხი, მათი სოციალური წყობა, მათი მწამრსი და გრძნობები, როგორც ეს ენის გაანალიზებით არის შესაძლებელი“.*

**მარტინ ალონსო**

*„ენის მონაცემები შესაძლებლობას აძლევს ისტორიკოსს ჩაწვდეს დროის ისეთ სიღრმეში, როცა წერითი ხელოვნება ჯერ კიდევ არ არსებობდა, ვერავითარი ნივთიერი მტკიცებები ვერ შემოინახა, - აქ ენის ლექსიკას შეუძლია არქეოლოგის ბარი და უძველესი ქრონისტების ცნობები შეცვალოს“*

**ა. კონდრატიევი**

სამწუხროდ, პროტოქართული, ჩვენი აზრით, იგივე, იბერიული ენის ლექსიკა, კერძოდ, ძირისეული ფორმები დღემდე ხელუხლებელია. ამიტომ საფუძვლიანად არ არის შესწავლილი ის უნიკალური ლექსიკა, რომლებიც, აკაკი წერეთლის სიტყვებით რომ ვთქვათ, **„ობოლ მარგალიტებად შემოუნახავს მეგრულ ენას“**. ასე, რომ დღემდე არავის უკვლევია მრავლისდამტევი მისასალმებელი სიტყვების **„გამარჯობა“ - „გაგიმარჯოს“** ეტიმოლოგია, მასში ჩადებული აზრი და მნიშვნელობა; არავის უკვლევია იბერიული ტერმინის **„ონჯღორე“** (სირცხვილი) და ფრაზის: **„ვაშინერც,- დიბღუპუთ!“**-ს ეტიმოლოგია და არსი.

ტერმინი **„გამარჯობა“** (გამარჯვება) ქართულ საზოგადოებაში დღემდე აღიქმება, როგორც ქართველი ერის არსებობისათვის აუცილებელი პირობა. ქართველ ერს მუდამ გარს ეხვია აურაცხელი მტერი და მათ მოსაგერიებლად მუდმივი ბრძოლა ჰქონდა გამართული, ბრძოლაში აუცილებელი იყო მხოლოდ გამარჯვება, ამიტომ ომში მიმავალ ვაჟკაცს უსურვებდნენ გამარჯვებას და ამ სიტყვამ ლოცვის ტოლფასი მნიშვნელობა შეიძინა, მაგრამ ამ ტერმინის ბგერითი შედგენილობა პირობითი და შემთხვევითია, თუ რაიმე საფუძველს დაყრდნობითაა მოტივირებული, არავის უკვლევია...

...ძველი იბერიული ენიდან მომდინარე მისასალმებელი ტერმინები **გამარჯობა – გაგიმარჯოს** ახალი კლასიკური იბერიული ენით ნიშნავს: **მოგება მეს გარჯით – მოგება, მოგება მეს გარჯით.**

თუ დავაკვირდებით ამ ურთიერთმისალმების აზრს, აქ ნათლად ჩანს უძველეს წინაპართა მიერ ღვთაებრივი ცხოვრების წესის დამკვიდრებისაკენ სწრაფვა, ბედნიერი ცხოვრების დამკვიდრების საქმეში პატიოსანი შრომის როლი და რაციონალიზმი.

ძალზე ძნელია იმის დადგენა, თუ რა სიმაღლეზე ავიდნენ ღვთაებრივი ცხოვრების წესის დამკვიდრებისაკენ სწრაფვის გზაზე ჩვენი უძველესი წინაპრები, მაგრამ, ცხადია, რა ენთუზიაზმითა და სიყვარულით უსურვებდნენ ერთმანეთს ყოველ შეხვედრაზე სამშობლოს საკეთილდღეოდ ღვაწლის გაღებაში შეჯიბრებისას უპირატესობის მოპოვებას. ამას ჩვენი წინაპრები, უშურველად, უანგარო ურთიერთ სიყვარულით უსურვებდნენ ერთმანეთს და ახსენებდნენ ყოველ შეხვედრაზე, რადგან მათ კარგად ჰქონდათ შეგნებული, რომ ასეთ შეჯიბრებაში არავინ რჩებოდა წაგებული, ყველა მოგებული იყო.

მათ ბრწყინვალედ იცოდნენ პატიოსანი შრომის ფასი და შედეგები. მათთვის პატიოსანი შრომა და ღვაწლის გაღებაში შეჯიბრებისას გამარჯვება გმირობად კი არ ითვლებოდა, არამედ ეს იყო ჯანმრთელი ადამიანის სამოქმედო ზნეობრივი ნორმა, ცხოვრების წესი. ამიტომ სამარცხვინოდ მიაჩნდათ გაურჯელად ლუკმის მიღება, რაც გამოიხატა სიტყვით **ონჯღორე** (სირცხვილი), რომელმაც ჩასახვიდან ჩამოყალიბებამდე ევოლუციის შემდეგი გზა გამოიარა:

ქო ნჯ ღ რ ე – > ქო ნჯღორე –> ონჯღორე.

საკუთარი თავის გაურჯელად, წოლელა, საარსებო საშუალებების მიღება, ეტყობა, იმ ხანად საგანგაშო მოვლენა იყო, რადგან ირღვეოდა ბუნებრივ კანონზომიერებებთან ჰარმონიული თანაცხოვრების პრინციპი. ასეთმა დარღვევებმა წარმოშვა ფრაზა: **ვაშინერც – დიბღუპუთ!,** რომლის პირველი სიტყვა ნაწარმოები უნდა იყოს წინადადებიდან: **ვა(რ)შ ნე რ(ენ)ც.** აქ **ვარშ** ნიშნავს: არ გახსოვს, **ნე** (<– ნ ) – წყალი (წყარო სიცოცხლისა), **რენც** – არის, არსებობს. ე.ი **ვაშინერც** ნიშნავს: **არ გახსოვს წყარო სიცოცხლისა არსებობს.** აქ **წყარო სიცოცხლისა** უზენაესი შემოქმედის მეტაფორული გამოხატულებაა. უზენაესი შემოქმედი კი უზენაესი კანონზომიერებების არსებობაში ვლინდება, თორემ შემოქმედი თვალით არავის უნახავს. ამიტომ უკანასკნელი წინადადება ასე უნდა გავიგოთ: **არ გახსოვს უზენაესი კანონზომიერებები არსებობს,** უფრო სწორად, **დაგვიწყებია უზენაესი კანონზომიერებების არსებობა,** მაშინ **ვაშინერც,- დიბღუპუთ!** ნიშნავს: **დაგვიწყებია უზენაესი კანონზომიერებების არსებობა და დავიღუპებით!** ასე მიმართავდნენ ჩვენი უძველესი წინაპრები იმას, ვისი ქმედებაც უზენაეს კანონზომიერებებთან ჰარმონიულ თანაცხოვრებას არღვევდა. ამ კანონზომიერებათა უმცირეს დარღვევასაც არ პატიობდნენ ერთმანეთს, განგაშს ატეხდნენ მაშინაც კი გულუბყვრილო ბავშვს ჩიტის ბუდეც, რომ დაერღვია, რადგან მათ კარგად იცოდნენ, რომ ბუნებაში წარმოდგენილი ყველა ცოცხალი ორგანიზმი (ადამიანთა საზოგადოება, ფლორა და ფაუნა) ერთმანეთთან დაკავშირებულია ერთიანი ბიოლოგიური ჯაჭვით, რომლის ერთი რგოლის შესუსტება საფრთხეს უქმნის დანარჩენებსაც.

ჩვენ არ ვიცით მიაღწია თუ არა ღვთიური ცხოვრების წესის დამკვიდრებისაკენ მიმსწრაფმა ჩვენმა უძველესმა წინაპარმა მიზანს, მაგრამ, თუ დავუჯერებთ ცნობილ მეცნიერს ვილჰელმ ჰუმბოლდტს, **იბერიული ცივილიზაცია ვრცელდებოდა პირინეიდან ინდოეთამდე.** ეს ნიშნავს, რომ უძლიერესი სახელწიფო ჰქონიათ ოდესღაც ჩვენს უძველეს წინაპრებს.

იბერების მიერ დაპყრობითი ომების წარმოება ისტორიაში ცნობილი არ არის. ზემოთ განხილული მისასალმებელი და სხვა სიტყვების ფილოსოფიური არსი დაპყრობით და სისხლისმღვრელ ომებს გამორიცხავდა, ხოლო ჰუმანურ -ამაღლებული ზნეობის საფუძვლებზე დაყრდნობით ასეთ ვრცელ ტერიტორიაზე **„აყვავებული კულტურის“** მქონე უძლიერესი სახელმწიფოს შექმნა, ზეადამიანურ სიბრძნეს და ტიტანურ შრომას მოითხოვდა, რასაც, უეჭველია, საზოგადოების თვითეული წევრის აქტიური ქმედებითა და ერთობლივი ძალისხმევით აღწევდნენ.

წარმატებული და აყვავებული კულტურა რომ ჰქონიათ ჩვენს წინაპრებს, ადასტურებს აკადემიკოსი ნიკო მარიც: **„... თუ მაინცდამაინც ინდოევროპელობით აყოყმანებული ადამიანი წმინდა ინდოევროპულ მოდგმის ნაჭირნახულევის გამოყოფით ისტორიულ დაფასებას მოინდომებს, ის ნათლად დაინახავს, რომ ინდოევროპელთ წმინდა რასას, პირიქით, თავისი შემოტანილი ბარბაროსობით ყოფილი აყვავებული კულტურა (ხაზი ჩემია, კ. ფ.) დაუნარცხავს. შემდეგ დანარცხვისაგან გადარჩენილი ელემენტების ძალით და მათი ნამდვილი მემკვიდრეობის მიღებით ფეხზე წამოყენებულა კულტურა. მაგრამ მაშინაც გაძლიერებული რთულბუნებოვანი კაცობრიობა, ატავისტურად თავის ჩატანილი ინდოევროპული ბარბაროსობის გასამარჯვებლად სხვა არანაკლებ მემკვიდრე ან ნამდვილ მემკვიდრე ერებს, სიმართლეს მოკლებულ სწავლას ახვევს, ვითომც ინდოევროპელობა მათდა ნაანდერძევი ბუნებრივი წარჩინებულება ყოფილიყოს და ნივთიერ მონების უწინ სულიერად ამონავებს“** (ნიკო მარი, რით ცხოვრობს იაფეტური ენათმეცნიერება, პეტროგრადი, 1923, და გვ. 58). ვიმეორებთ, ვერ ვიტყვით დამკვიდრებული ჰქონდათ თუ არა სრულად უძველეს წინაპრებს ღვთაებრივი ცხოვრების წესი, რისკენაც მიისწრაფოდნენ ისინი და უნდა მიისწრაფოდეს მაღალზნეობრივი, სულიერად თავისუფალ ადამიანთა საზოგადოება, მაგრამ ზემოთ განხილული სიტყვების შემქმნელნი ახლოს უნდა ყოფილიყვნენ მიზანთან. სწორედ, იმ ზნეობრივმა დონემ და კულტურამ გადაგვარჩინა და ავად, თუ კარგად მოგვაღწევინა დღემდე, თორემ მრავალი ჩვენი ასაკისა და ბევრი ჩვენზე ნაკლები ასაკის ერები განისვენებენ ისტორიის სასაფლაოზე.

ჩვენი წინაპრები, უეჭველად, ახლოს უნდა ყოფილიყვნენ მიზანთან, რადგან შემუშავებული ჰქონიათ ისეთი ტერმინოლოგია, რომელიც ახასიათებდა საზოგადოების ღვთაებრივ ცხოვრების წესს და შეუძლებელია სვლა უდიადესი მიზნისაკენ შეჩერებულიყო, თუ ამას რაიმე შემთხვევითი ასტრონომიული კატასტროფა არ შეუშლიდა ხელს.

მეცნიერების მიერ დადასტურებული კატაკლიზმები დედამიწაზე პრეისტორიულ ხანაში და ჩვენთვის ცნობილ ისტორიულ პერიოდში მომხდარი ძლიერი მიწისვრებით გამოწვეული მიგრაციები მოწმობენ ამ კატაკლიზმებით მიყენებულ ფიზიკურ თუ სულიერ ტრამვებზე, რომლის შემდეგ დაიწყო ამ საზოგადოების სულიერ – ზნეობრივი ძლიერების დეკადანსი და დავეშვით დღევანდელ მდგომარეობამდე. მაგრამ ჩვენთვის ცნობილია, რომ ადამიანი ათასეულობით, თუ მილიონობით წლების განმავლობაში იმყოფებოდა ველურ მდგომარეობაში, შემდეგ იწყო განვითარება და დარწმუნდა, რომ თავისი საკადრისი ღირსების მქონე საზოგადოებრივი ცხოვრების წესის დამკვიდრებაა აუცილებელი. ადამიანის საკადრისი ღირსების კრიტერიუმი კი განდმრთობაა და, თუ ათასწლეულების წინათ შეძლეს მიახლოებოდნენ ამ კრიტერიუმს, რატომ არ შეიძლება მომავალშიც მიუახლოვდეთ მას, მითუმეტეს, როცა მეცნიერებისთვის ცნობილია ცივილიზაციათა დაცემა – აღზევების რამდენიმე შემთხვევა და დაგროვებულია უდიდესი გამოცდილება?

ქრისტიანული მოძღვრების მიზანი იყო დიდი ცოდვით უაღრესად დამძიმებული და უფსკრულისაკენ გასაწირად დაქანებული კაცობრიობის გადარჩენა, სულიერად და ზნეობრივად დაცემულ ადამიანში ღვთიური სულის ისევ გაღვიძება და განდმრთობისაკენ ორიენტირება.

ცნობილია, რომ ქრისტიანული მოძღვრების საქადაგებლად ექვსი მოციქული ჩამოვიდა იბერიაში და ეს შემთხვევითი მოვლენა არ ყოფილა: მათ კარგად იცოდნენ შორეულ წარსულში იბერთა **საჭიროსკენ,** ანუ განმღრთობისაკენ მისწრაფება და მათში გენეტიკურად ჩაკირული, მაგრამ იმ დროისათვის მიძინებული ღვთიური სულის გაღვიძება შედარებით ადვილი იყო; ცნობილია, რომ ქრისტიანულმა რელიგიამ გადაარჩინა იბერთა მოდგმა სრული გადაშენებისაგან.

თუ ჩვენმა უძველესმა წინაპრებმა წარმართულ ხანაში შეძლეს მიახლოებოდნენ **საჭიროს** (ღვთიური ცხოვრების წესს), წარსული ცხოვრების უდიდესი გამოცდილების მქონე, სამოქმედო პროგრამად ბიბლიისა და პროფ. თ. ბუთხუზის მატრიცული თეორიის მფლობელი ერისათვის, უბრალოდ, სირცხვილია დღევანდელ მდგომარეობაში ცხოვრება.

დღეს არა მარტო ქართველთა, არამედ მთელი კაცობრიობის სულიერ ზნეობრივი დონეა დაქვეითებული და იმ ზღვრამდე ვართ დასული, რომ, თუ დედამიწაზე საზოგადოების საკმაოდ საჭირო ნაწილმა თავის თავში ვერ გამონახა შინაგანი ძალები სულიერ – ზნეობრივი დეკადანსის შესაჩერებლად და **საჭიროსკენ** აღმავლობის გზები, სრულიად სარწმუნოა, როგორც ვარაუდობენ, 2012 წლისათვის სამყაროს არამიწიერ ძალებს მოუწევთ მიწიერი ცხოვრების გრანდიოზული გარდაქმნა. მაგრამ, როგორც მრავალჯერ მომხდარა, ამჯერადაც შესაძლებელია, პროგრესულად მოაზროვნე ადამიანთა კეთილ ნებაზე დამოკიდებულებით კაცობრიობის გადარჩენა და იმ ერს, ვინც ამ საკაცობრიო მნიშვნელობის საქმეში თავს გამოიჩენს, მისი შემოქმედიც არ გასწირავს.

## რეზიუმე

წერილი **“საით მიისწრაფოდნენ პროტოქართველები”** ერთგვარი ცდაა, გავერკვეთ, სულიერ-ზნეობრივი განვითარების რა დონეზე იმყოფებოდნენ პროტოქართველები არქაულ ხანაში.

ამას ადასტურებენ თანამედროვე მისასალმებელი და ადამიანის სულიერ-ზნეობრივი დონის გამომხატველი სიტყვების თავდაპირველი ფორმები, მათი ფონეტიკური ცვლილებები თანამედროვე ფორმებად ჩამოყალიბებამდე.

ამ მიზნით შესწავლილია მისასალმებელი სიტყვები: **„გამარჯობა“ და „გაგიმარჯოს“**, ასევე, **„ონჯღორე“**(სირცხვილი) და **„ვაშინერც,-დიბღუპუთ“** ფორმები.

ამ ფორმებში ნათლად ჩანს ჩვენი უძველესი წინაპრების სწრაფვა სრულყოფილი ცხოვრების წესის დამკვიდრებისაკენ.

**კუკური ფიფია,**
**ფაზისის მეცნიერებათა აკადემიის წევრი.**

გაზეთი "ილორი" უძღვება რუბრიკას "საუკეთესო საფეხბურთო კლუბები"

## მსოფლიოს საუკეთესო საფეხბურთო კლუბები

# "რივერ პლეიტი", ბიენოს-აირესი, არგენტინა

გუნდი **დაარსებულია 1901 წელს.**

სტადიონი: **ანტონიო ლიბერტი/მონუმენტალი, 76.000 მაყურებელი,**

**არგენტინის 30-გზის ჩემპიონი,**

**საკონტინენტთაშორისო თასის მფლობელი** 1991 წელს,

**ლიბერტადოსის თასის მფლობელი** 1986 და 1996 წლებში,

**ინტერამერიკული თასის მფლობელი** 1986 წელს,

**სამხრეთ-ამერიკის სუპერთასის მფლობელი** 1997 წელს.

**"რივერ პლეიტი"** არგენტინის ფეხბურთის ისეთივე უპირობო ლიდერია, როგორც **"ბოკა ხუნიორსი".** ეს გუნდი ბუენოს-აირესის ერთ-ერთ უმდიდრეს რაიონში ჩამოყალიბდა 1901 წელს.

**"რივერ პლეიტი"** უკვე 1908 წელს იდგა არგენტინის პირველი საფეხბურთო დივიზიონის ჩამომყალიბებელთა რიგებში. 1920 წელს კი **"რივერ პლეიტი"** პირველი ჩაება არგენტინელთაგან მსოფლიო საფეხბურთო ომში, რომელიც ტოტალურად გამოცხადდა ფეხბურთის სამყაროში პროფესიონალიზმის დამკვიდრების შემდეგ. 1930-იან წლებში, როცა ფეხბურთი საბოლოოდ ჩამოყალიბდა და მთელ მოსფლიოში უპირველეს სანახაობად გადაიქცა სპორტის თითქმის ყველა სახეობათა შორის, გუნდში თამაშობდა არგენტინული ფეხბურთის ჭეშმარიტი ლეგენდა ბარნაბე ფერეირა. სწორედ ამ გუნდის წყალობით იწევდა განუხრელად მაღლა არგენტინული ფეხბურთის დონე, რაც საფუძვლად დაედო ამ გუნდის მომავალ წარმატებებს მსოფლიო ფეხბურთში.

1940-იან წლებში მოწინააღმდეგე გუნდებს თავზარს სცემდა **"რივერ პლეიტის"** თავდასხმის ხაზი, რომელიც იმდენად შედეგიანი და მობილური იყო, რომ მეტსახელად "La maquina" **("მანქანა")** დაარქვეს. **მუნიოსი, მორენო, პედერნერა, ლაბრუნა, ლუსტაუ** – დღეს ეს სახელები არგენტინის გარეთ შეიძლება ბევრს არაფერს ეუბნებოდეს, მაგრამ, თავის დროზე, ამ გვარების გაგონება არგენტინაში ისეთივე აღფრთოვანებას იწვევდა, როგორც მადრიდის **"რეალის"** ფეხბურთელთა ბრწყინვალე თაობის წარმომადგენელთა ხსენება ევროპაში.

მოგვიანებით **"რივერ პლეიტის"** რიგებში აღიზარდა მსოფლიო ფეხბურთის არაერთი სახელოვანი ვარსკვლავი, რომელთაც თავიანთი ნათელი კვალი დასტოვეს სპორტის ამ ულამაზესი სახის ისტორიაში. მათ შორის პირველობა უდავოდ ეკუთვნის ლეგენდარულ ალფრედო დი სტეფანოს, რომელმაც მადრიდის **"რეალი"** ერთ-ერთ (შეიძლება ითქვას – ერთადერთიც) უძლიერეს კლუბად აქცია და ღირსეული ადგილი დაუმკვიდრა მსოფლიო ფეხბურთში.

ფეხბურთის უფროსი ასაკის გულშემატკივრებს დღესაც კარგად ახსოვთ არგენტინელი ომარ სივორის თამაში, რომელიც განუმეორებელ სათამაშო ტექნიკას ფლობდა და პრაქტიკულად დაუღლელ მოთამაშედ ითვლებოდა. მოგვიანებით იგი ტურინის **"იუვენტუსში"** გადავიდა და შესანიშნავი შემტევი ხაზი შექმნა უელსელ **"გიგანტად"** წოდებულ ჯონ ჩარლზთან ერთად. სწორედ ამ ორი ფეხბურთელის მონდომებას და შესაძლებლობებს უნდა უმადლოდეს ტურინის **"იუვენტუსი"**, რომ წლების განმავლობაში ეს გუნდი იმყოფებოდა ევროპის და მსოფლიო საფეხბურთო ოლიმპზე.

მოგვიანებით **"რივერ პლეიტში"** ვარსკვლავებად გაიბრწყინეს **უბალდო ფილოლმა, დანიელ პასარელამ, ლეოპოლდო ლუკემ და მარიო კემპესმა,** რომელთა წყალობითაც არგენტინის ნაკრები მსოფლიო ჩემპიონი გახდა 1978 წელს. თუმცა, აქ არგენტინელებს ღმერთმაც გადააფარა თავისი კალთა, რადგან ფინალური მატჩის ბოლოს, რომელიც ფრედ დასრულდა, ჰოლანდიელმა ნეესკენსმა მართლაც სასწაულებრივად ვერ გაიტანა უეჭველი გოლი, რომელიც შეიძლებოდა ჰოლანდიელთა გამარჯვების მაუწყებელი გამხდარიყო. ეს მატჩი დამატებით დროში მოიგეს არგენტინელებმა სწორედ მარიო კემპესისა და მისი თანაგუნდელების წინსწრაფვისა და გოლის გატანის დაუოკებელი ჟინის წყალობით.

1986 წელს **"რივერ პლეიტის"** გამოჩენილ ფეხბურთელთა გალერეა ახალი სახელებით შეივსო. მათ შორის უპირველესი იყო მეკარე ნერი პუმპიდო, ცენტრალური მცველი ოსკარ რუჯერი და გუნდის დისპეტჩერი ნორბერტო ალონსო, რომელთა წყალობითაც **"რივერ პლეიტმა"** ლიბერტადოსის თასი მოიგო და კიდევ ერთხელ დაამტკიცა თავისი მაღალი საერთაშორისო სტატუსი. მართალია, ამ წელს არგენტინის გამარჯვებას მსოფლიო ჩემპიონატში ლამის მთლიანად დიეგო მარადონას მიაწერენ, მაგრამ არც იმას უარყოფენ, რომ გუნდის ტრიუმფში დიდი როლი ითამაშეს **"რივერ პლეიტის"** ფეხბურთელებმაც. ორჯერ ახლოს იდგა **"რივერ პლეიტი"** სანუკვარ მიზანთან – გამხდარიყო სამხრეთ ამერიკის ჩემპიონი საფეხბურთო კლუბებს შორის. მაგრამ 1966 წელს მან ურუგვაის **"პენიაროლთან"** წააგო ფინალი, 1976 წელს კი ბრაზილიის **"კრუზეიროსთან"** უმტყუნა ბედმა. ფორტუნა თითქოს არ წყალობდა ამ მართლაც შესანიშნავ გუნდს, როცა აგებდა იმ თამაშს, რომელიც ყველა გათვლებით დამაჯერებლად უნდა მოეგო. მაგრამ 1986 წელს ბუენოს-აირესის **"რივერ პლეიტს"** ვერავინ გაუწია ღირსეული მეტოქეობა და ფინალში მან დამაჯერებლად დაამარცხა კოლუმბიის **"ამერიკა"** და **"ლიბერტადოსის"** თასს დაეუფლა.

გუნდი წლების განმავლობაში მართლაც შესანიშნავ სპორტულ ფორმაში იმყოფებოდა, რაც მალე დამტკიცდა კიდეც, როცა 1991 წელს **"რივერ პლეიტმა"** ბუქარესტის **"სტიაუას"** მოუგო 1:0 და **საკონტინენტთაშორისო თასს** დაეუფლა.

**გიორგი ჯალადანია**

## იუმორი

* * *

**ერთ ადვოკატი მეორეს ეკითხება:**

**– იმ მილიონერი ცოლ-ქმრის განქორწინების საქმე თუ დაასრულე?**

**– კი, პროცესი გუშინ დამთავრდა.**

**– ქონება როგორ განაწილდა?**

**– შვილები ცოლს დარჩა, მანქანა – ქმარს, დანარჩენი – მე.**

* * *

**მასწავლებელი ბავშვს გაკვეთილზე ჟურნალ "ფლეიბოის" წაართმევს და ეუბნება:**

**– შენი მშობლები ხვალვე უნდა ვნახო!**

**– რაღა ხვალ, მათი ნახვა ახლაც შეგიძლიათ – 43-ე გვერდზე გადაშალეთ..**

* * *

**– სეროჟ, შენი შვილი გაზეთს ჭამს.**

**– არა უშავს რა, წაკითხული მაქვს!**

* * *

**ქართველი ეკითხება სომეხს:**

**– ვინ არის ყველაზე საძაგელი ხალხი დედამიწის ზურგზე?**

**– რა თქმა უნდა ქართველები!**

**– რატომ, ქართველები?**

**– იმიტომ, რომ რაც ნაძირალა სომეხი იყო, ყველამ ქართველად გადაიკეთა ეროვნება!**


**საქართველოში აკრედიტებული დიდი ბრიტანეთის სამეფოს სრულუფლებიან დესპანს ბ-ნ დენის კიფს**

## თ ხ ო ვ ნ ა

**ბატონო დენის,**

მოგესალმებით ილია (ზაზა) რ. ხუნწარია, საქართველოს მოქალაქე, 1990-93 წლებში თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლეთ-ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტის უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი, დღეს კი უმუშევარი, და მოგმართავთ თხოვნით, ჩემი პროფესიული მდგომარეობის სარეაბილიტაციოდ, ასევე, დიდ ბრიტანელ ხალხთან, ჩემი ხვედრის მოზიარე, მრავალრიცხოვან თანამემამულეთათვის *სრული* ნაცნობობის, *რეალური* თანადგომის თუ *პოზიტიურ* კავშირ-ურთიერთობათა საკითხთა მოსაგვარებლად, შუამდგომლობა გამიწიოთ თქვენი სამშობლო ქვეყნის, მაგ., ქ. ***კარდიფის*** ანუ ძვ. ქართულად "***ქართ ჲფუჲლჲ***" ("ქართლის და იმავდროულად, მისი ეპონიმური ღვათაება ხალდე-ქარდუ-ოდის საფარი"), ან ქ. ***ოქსფორდის*** უმაღლესი სასწავლებლების დირექციებთან, რათა, იქნებ, მათ მაინც დამრთონ ნება, აღნიშნულ კერებზე, *ალტერნატიული ქართველოლოგიის* კუთხით, *უახლესი* ინფორმაციის მქონე საჯარო ლექციათა კურსის წაკითხვისა, **ლიტერატურის ენის *ისტორიის*** სფეროში, საერთო თემაზე – "**ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ**", რაც სამომავლოდ, მერწმუნეთ, უნიკალურ საშუალებას მოგვცემს, შევქმნათ ჩვენი თანამედროვე კაცობრიობის ამა თუ იმ ნაწილის "**არალეგალიზმის**", "**სეპარატიზმის**", "**ექსტრემიზმის**", "**ტერორიზმის**" და "**ეთნოკონფლიქტთა**" წინააღმდეგ ბრძოლის მაღალ-ჰუმანიტარული და დიდად *ეფექტური* საგანმანათლებლო *დისციპლინა.*

და თუ თქვენ, როგორც წარმოშობით *შოტლანდიელს* (ამ ცოტა ხნის წინ, ტელე-ეკრანზე გიხილეთ, ***მაკფენახის*** ანუ "**მარიამის მეუფე წულის**" კილტის ნაირფერი სამოსი გმოსავდათ), "***სკოტ***"-ს ანუ "***ჰსკვით***"-ს, მართლა ძალზე შეგტკივათ გული მრავალ ჭირთმთმენი ქართველი ხალხის მომავალ ბედ-იღბალზე, რაც არც მეეჭვება, ასევე, მერწმუნეთ, ჩემი ზემოაღნიშნული ინიციატივა, თქვენი ხელშეწყობით, საგრძნობლად შეამსუბუქებს მათ მეტად მძიმე და სავალალო მდგომარეობას.

ზემოაღნიშნულით თქვენი დაინტერესების შემთხვევაში, გთხოვთ დამიკავშირდეთ შემდეგ მისამართზე: თბილისი, 0167, გლდანის II მიკრორაიონი, 27-ა კორპუსი, ბინა 19.

მობ: +995 99 13 73 49; ელ-ფოსტა: **Kuntsaria@hotmail.com**.

პატივისცემით,

**ილია ხუნწარია,**
**თბილისი, 2010 წლის მარტი**


**რედაქციის კომენტარი:** მაშინ, როცა ჩვენი ხელისუფლებისაგან ყურები გვაქვს გამოჭედილი ახალი სამუშაო ადგილების შექმნის რიხიანი შეპირებებით, საქართველოდან უწყვეტ ნაკადად მიედინებიან უცხოეთში ლუკმა პურის საძებრად ჩვენი განათლებული თანამემამულეები. დააკვირდით ამ განცხადებას და დაინახავთ იმ მწარე სინამდვილეს, რომ ადამიანს, რომელიც პრეტენზიას აცხადებს ინგლისის ცნობილ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობაზე, საქართველოში სამსახური ვერ უშოვნია და იძულებულია, ლუკმა-პურის საძებრად უცხოეთში გადაიხვეწოს. საქართველოს მოსომხო ხელისუფლების გათვლა მარტივია – საქართველო უნდა დასტოვონ განათლებულმა ადამიანებმა და უნდა დარჩნენ ისინი, რომლებიც შესძლებენ მხოლოდ ხინკლის კეთებას და ოფიციანტებად, ან სხვა მომსახურე პერსონალად და შავ მუშებად საქმიანობას!

**სწორედ ეს გახლავთ საქართველოს დაშლა-**განადგურების სომხური პროგრამა, რომელსაც **"წარმატებით"** უძღვებიან მიხეილ სააკაშვილი (მიხეილ სააკოვის შვილისშვილი) და მისი დანაშაულებრივი გარემოცვა.

**როდემდი?**


977198796009

ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე

რედაქციის მისამართია: თბილისი, ზანდუკელის ქუჩა №1 სარეგ.№01018002930

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალადანია
მთ. რედაქტორის მოადგილე: დავით ქობალია
ტექნიკური რედაქტორი: მიხეილ ჩოდრიშვილი
გაზეთის მენეჯერი: ზურაბ ქობალია

www ilori.ge
e-mail:elisabetthal@yahoo.de
რეკლამის განთავსება
899-57-33-22
893-51-01-71
899-34-37-27